საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

შაბათი, 2 მარტი. 2019 წ. №44 (8710) ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge ფასი 60 თეთრი

3 მარტი დედის დღეა!



ირაკლი თოიძის ნახატი

მთავრობის გადაწყვეტილებით საქართველოს NATO-ში ინტეგრაციის სახელმწიფო კომისია შეიქმნა

საქართველოს NATO-ში ინტეგრაციის სახელმწიფო კომისიის შექმნის გამო საგანგებო დადგენილება გამოქვეყნდა:

„ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციასთან (ნატოსთან) საქართველოს სრული პოლიტიკური, სამართლებრივი, სამხედრო ინტეგრაციისა და ალიანსში გაწევრიანების პროცესში საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურების კოორდინირებული მოქმედების უზრუნველყოფის მიზნით, შეიქმნას საქართველოს ნატოში ინტეგრაციის სახელმწიფო კომისია“.

სახელმწიფო კომისიას პრემიერ-მინისტრი უხელმძღვანელებს, ხოლო მის შემადგენლობაში მთავრობის კაბინეტის წევრებთან ერთად, დაზვერვის სახელმწიფო სამსახურის, უსაფრთხოების სამსახურის და თავდაცვის ძალების გენერალური შტაბის ხელმძღვანელები იქნებიან.

დედის ღვიძლით გადარჩენილი შვილის სიცოცხლე —

11

10-საათიანი ურთულესი ოპერაცია საქართველოში

სარფის საბაჟოს ინფრასტრუქტურა განახლდა

თურქეთის რესპუბლიკაში ვიზიტის ფარგლებში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი გიორგი ქობულია, თურქეთის რესპუბლიკის ვაჭრობის მინისტრი რუჰსარ ფექჯანი და აჭარის მთავრობის მეთაური თორნიკე რიჟვაძე საქართველო-თურქეთის საზღვარზე თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე საბაჟო-გამშვები პუნქტის „სარფის“ განახლებისადმი მიძღვნილ ცერემონიას დაესწრნენ.

ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას გიორგი ქობულიამ მადლობა გადაუხადა თურქეთის ხელისუფლებას ამ მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელებისთვის, მან ხაზი გაუსვა ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური ურთიერთობების და ამ პროცესში საბაჟო-გამშვები პუნქტების გამართული ფუნქციონირების მნიშვნელობას. მინისტრის თქმით, თითოეული ინფრასტრუქტურული პროექტის რეალიზაციის შედეგად წარმოქმნილი პოტენციალის ათვისება მეტწილად დამოკიდებულია სწორედ სასაზღვრო-საბაჟო პროცედურების მოქნილობაზე. **„დამეთანხმებით, რომ ორი მეზობელი ქვეყნის მიერ განხორციელებული სამშენებლო პროექტების ასეთი თანხვედრა შემთხვევითი არაა და დღევანდელი ცერემონია კიდევ ერთხელ ადასტურებს საქართველოს და თურქეთის რესპუბლიკის ურყევ ნებას სტრატეგიული პარტნიორობისა და ურთიერთობების შემდგომი განვითარების მიმართულებით“,** — აღნიშნა გიორგი ქობულიამ.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის განცხადებით, სარფი წარმოადგენს არა მარტო მნიშვნელოვან სატრანსპორტო კვანძს ტვირთების გადაზიდვისთვის, არამედ იგი საქართველო-თურქეთს აკავშირებს ეკონომიკურად, კულტურულად და სოციალურად, განახლებული ინფრასტრუქტურა კი ბიძგს მისცემს ვაჭრობის და ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების და მიმოსვლის კიდევ მეტად ზრდას. ამასთან, მინისტრის განცხადებით, ჩვენს ქვეყნებზე გადის ძალიან მნიშვნელოვანი სატრანსპორტო დერეფანი და შეიძლება კიდევ უფრო ავითვისოთ ჩვენს ქვეყნებზე გამავალი სატრანზიტო ტვირთების პოტენციალი.

საშუალო მონაცემებით, ზაფხულის სეზონის განმავლობაში სარფის საბაჟო-გამშვები პუნქტის გავლით საზღვარს ყოველდღიურად კვეთს 1000-მდე სატვირთო ავტომანქანა, 2000-მდე მსუბუქი ავტომანქანა, 400-მდე ავტობუსი და 25000-მდე ფეხით მოსიარულე.

საქართველოსა და თურქეთისთვის, როგორც აღმოსავლეთ-დასავლეთის სატრანზიტო დერეფანში მყოფი ქვეყნებისთვის, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მიმზიდველი და კონკურენტული სატრანზიტო დერეფნის განვითარებას, რისთვისაც ძალზედ მნიშვნელოვანია საბაჟო სფეროში განვითარების ერთიანი პრინციპების ჩამოყალიბება. თურქეთის რესპუბლიკა, ბოლო წლების განმავლობაში რჩება ერთ-ერთ მსხვილ სავაჭრო პარტნიორად საქართველოსთვის და მზარდი ეკონომიკური ტენდეციების ფონზე საბაჟო სფეროში თანამშრომლობის კიდევ უფრო გაძლიერებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

მამუკა ბახტაძე: ევროკავშირთან ურთიერთობა ასეთ მაღალ დონეზე არასოდეს ყოფილა

სრული პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო, რომ ევროკავშირთან ურთიერთობისა და ინტეგრაციის ხარისხი ასეთ მაღალ დონეზე არასოდეს ყოფილა, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის სამთავრობო კომისიისა და ნატოში ინტეგრაციის სახელმწიფო კომისიის ერთობლივ სხდომაზე განაცხადა.

მთავრობის მეთაურის შეფასებით, საქართველო ევროკავშირთან ნაკისრი ვალდებულებების იმპლემენტაციას წარმატებით ახორციელებს.

„განხორციელდა მნიშვნელოვანი რეფორმები როგორც საკანონმდებლო, ისე ინსტიტუციური დაახლოების თვალსაზრისით, რაც ქვეყნის ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე აუცილებელი წინაპირობაა. თუმცა, მეტი ძალისხმევაა საჭირო. ჩემი შეხედულებით, ჩვენ გვაქვს რესურსი, ვალდებულებების გარკვეული ნაწილი ვადაზე ადრე შევასრულოთ“, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

სხდომაზე მოისმინეს ინფორმაცია 5 მარტს ბრიუსელში დაგეგმილი საქართველო-ევროკავშირის ასოციერების საბჭოს მე-5 სხდომის შესახებ, რომელზეც ქართული მხარე „ევროკავშირში ინტეგრაციის საგზაო რუკას“ წარადგენს.

„საბჭოს სხდომაზე, ევროპულ მხარესთან ერთად შევაჯერებთ ევროინტეგრაციის ფარგლებში არსებულ პროგრესს და წარვადგენთ ძალიან მნიშვნელოვან დოკუმენტს — „ევროკავშირში ინტეგრაციის საგზაო რუკას“, რომელიც საშუალებას გვაძლევს, მოვახდინოთ ევროინტეგრაციის ფარგლებში განხორციელებული ჩვენი პროგრესის კონსოლიდაცია და ასევე, ასოცირების შეთანხმების მიღმა გადავდგათ შემდგომი ნაბიჯები ევროკავშირთან უფრო ღრმა და ყოვლისმომცველი, მათ შორის, სექტორული ინტეგრაციისკენ“, — აღნიშნა მამუკა ბახტაძემ.

კომისიების ერთობლივ სხდომაზე დამტკიცდა საქართველოს წლიური ეროვნული პროგრამა (ANP), რომელიც ნატოში გაწევრიანების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მექანიზმს წარმოადგენს. ასევე განსაკუთრებით აღინიშნა ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში ინტეგრაციის გზაზე საქართველოს მიერ მიღწეული პროგრესი.

„საქართველო არის ნატოს განსაკუთრებული და საიმედო პარტნიორი და მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციაზე ჩვენ ამ თვალსაზრისით ძალიან ძლიერი გზავნილები მოვისმინეთ. წელს ჩვენ ვუმასპინძლებთ ნატოს გენერალურ მდივანს, სამხედრო კომიტეტსა და ჩრდილოატლანტიკურ საბჭოს, რაც არის განსაკუთრებული პატივი და ამავდროულად — პასუხისმგებლობა, თუმცა, ეს კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს იმას, რომ საქართველოსა და ნატოს შორის ურთიერთობები ახალ დონეზეა გადაყვანილი“, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით გამართულ საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის სამთავრობო კომისიისა და ნატოში ინტეგრაციის სახელმწიფო კომისიის ერთობლივ სხდომაზე დღის წესრიგით გათვალისწინებული 8 საკითხი განიხილეს.

ეუთო მომავალი არჩევნების წინ მკაცრად გვაფრთხილებს!

ეუთომ საქართველოში ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნების შესახებ საბოლოო დასკვნა გამოაქვეყნა.

როგორც ორგანიზაციის ანგარიშშია აღნიშნული, საპრეზიდენტო არჩევნების დროს გამოიკვეთა „ამომრჩეველთა დაშინების, საჯარო მოხელეებზე ზეწოლის და ხმების ყიდვის ფაქტები, რომლებზეც ხელისუფლების მხრიდან დაუყოვნებლივი რეაგირება უნდა მოხდეს“.

„საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტური კონკურენტულ გარემოში ჩატარდა და ის მაღალ დონეზე ორგანიზებული იყო. კანდიდატებს ჰქონდათ შესაძლებლობა, რომ კამპანია თავისუფლად ეწარმოებინათ, თუმცა დაფიქსირდა ისეთი შემთხვევებიც, როგორიცაა ადმინისტრაციული რესურსის უკანონოდ გამოყენება. ამასთან, მმართველი პარტიის ოფიციალური პირები ჩართულები იყვნენ კამპანიაში. მაშინ, როცა საზოგადოებრივი მაუწყებელი ყველა კანდიდატს უქმნიდა პირობას, რომ

გამოეხატათ თავიანთი აზრები, კერძო ტელეკომპანიები მკვეთრად პოლარიზებული იყო და იყენებდნენ სიძულვილის ენას, მოკლებულნი იყვნენ ანალიტიკურ მსჯელობას. მთლიანობაში საარჩევნო დღე წარიმართა მაღალ დონეზე ორგანიზებულად და გამჭვირვალედ. თუმცა იყო შემთხვევები, როცა პარტიის მხარდამჭერები საარჩევნო უბნების მიმდებარედ ამომრჩევლებზე ზეწოლას ახდენდნენ“, — აღნიშნულია დოკუმენტში.

რაც შეეხება მეორე ტურს, ანგარიშში ნათქვამია, რომ საპრეზიდენტო არჩევნების პირველ და მეორე ტურებს შორის გაიზარდა დაძაბულობა და ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების შემთხვევები:

„კამპანია ხასიათდებოდა სიძულვილის ენით. გაიზარდა ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების შემთხვევები. კერძო მედიასაშუალებები აგრძელებდნენ მკვეთრ პოლარიზაციას და აშკარა არაობიექტურობას, რაც შეეხება საზოგადოებრივ მაუწყებელს, მან სარედაქციო დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა არ უზრუნველყო. მთლიანობაში საარჩევნო დღე დადებითად შეფასდა, თუმცა გამოიკვეთა ამომრჩეველთა შესაძლო დაშინების შემთხვევებიც“.

რაც შეეხება რეკომენდაციებს, დოკუმენტში აღნიშნულია, რომ „უნდა მოხდეს საარჩევნო კანონმდებლობის ყოვლისმომცველი გადახედვა, რათა აღმოფხვრილი იყოს ხარვეზები, ორაზროვნება და ნებისმიერი საარჩევნო რეფორმა უნდა ჩატარდეს ინკლუზიურად“.

„ყურადღება უნდა გამახვილდეს თითოეულ დონეზე კომისიის წევრების რაოდენობის გათანაბრებაზე. თუ პარტიები ინარჩუნებენ კომისიის წევრების დანიშვნის უფლებას, დანიშვნის ფორმულა შესაძლოა, გადახედული იყოს, რათა უზრუნველყოფილი იქნას უფრო დაბალანსებული პოლიტიკური წარმომადგენლობა და ხელი შეეწყოს მიუკერძოებლობის აღქმას. ყურადღება უნდა გამახვილდეს ადმინისტრაციული რესურსის ბოროტად გამოყენებასთან დაკავშირებული საჩივრების ეფექტური და დროული განხილვის მექანიზმის შექმნაზე. თავიდან უნდა იქნეს აცილებული სიძულვილის ენისა და ქსენოფობიის შესაძლო გავრცელება. უზრუნველყოფილი უნდა იყოს კამპანიის დაფინანსების ეფექტური ზედამხედველობა და გამჭვირვალობა“, — ნათქვამია ანგარიშში.

ორგანიზაცია რეკომენდაციით მიმართავს ხელისუფლებას, უზრუნველყოს რომ მოქალაქეებს, რომლებსაც არჩევნების დღეს ქვეყანაში არ იმყოფებიან, ხმის მიცემის საშუალება მიეცეთ.

დასკვნაში ასევე საუბარია მთავრობის წინასაარჩევნო ინიციატივაზე, რომელიც ვალების განულებას ეხებოდა. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ამ ინიციატივით, კერძო საფინანსო ინსტიტუტმა არასამართლიანი უპირატესობა მიანიჭა „ქართული ოცნების“ მიერ მხარდაჭერილ კანდიდატს.

ასევე, დოკუმენტში საუბარია იმაზე, რომ უნდა შეიქმნას ეფექტური მექანიზმი მხარდამჭერების ხელმოწერების ავთენტურობის დადგენის კუთხით:

„ამომრჩევლის დაშინების, საჯარო მოხელეებზე ზეწოლის ან ხმების ყიდვის ფაქტებზე შესაბამისმა უწყებებმა დაუყოვნებლივ უნდა მოახდინონ რეაგირება. სატელევიზიო ეთერის განაწილების, დებატებში მონაწილეობისა და რეკლამისთვის თანხების გამოყოფის არსებული სისტემა უნდა გადაიხედოს, რათა უზრუნველყოფილი იყოს თანაბარი შესაძლებლობები. არჩევნებში მონაწილეებისთვის თავისუფალი სატელევიზიო ეთერის განაწილება არ უნდა ხდებოდეს მედიის შეხედულებისამებრ“.

კვაჭანტირაძე კვაჭის გორისაა, არაფერი ეშლება!

საპარლამენტო უმრავლესობიდან წასვლის შემდეგ ზვიად კვაჭანტირაძემ პირველი კომენტარი გააკეთა. მან გუნდის დატოვების შესახებ პარტიის ლიდერს წერილობით უკვე აცნობა. წერილის გაგზავნის შემდეგ კვაჭანტირაძე პარლამენტში პირველად გუშინ მივიდა.

დეპუტატმა „კურიერის“ ჟურნალისტთან გუნდიდან წასვლის მიზეზებზე ისაუბრა. კვაჭანტირაძის თქმით, მთავარი წყალგამყოფი და წითელი ხაზი მოსამართლეების 10-კაციანი სია იყო, თუმცა მან ასევე აღნიშნა, რომ გუნდში სერიოზული პრობლემები მანამდეც იყო. კვაჭანტირაძე აქტიური პოლიტიკური ცხოვრების დაწყებას გეგმავს. ის, სავარაუდოდ, ეკა ბესელიას გუნდში იქნება.

ბავშვთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ სტრატეგიული დოკუმენტი შეიქმნება

დოკუმენტი არსებულ გამოწვევებს და მათი დაძლევის საშუალებებს სრულად ასახავს, — ამის შესახებ გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის განხორციელებისა და ბავშვთა უფლებების საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის მე-4 სხდომაზე შეთანხმდნენ, რომელიც საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა სამდივნოს უფროს ნატალია ჯალიაშვილისა და საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ხათუნა თოთლაძის ხელმძღვანელობით, მთავრობის ადმინისტრაციაში გაიმართა.

სხდომაზე განიხილეს ძალადობისგან ბავშვთა დაცვის სისტემის გაძლიერების მიმართულებით გასატარებელი ღონისძიებები. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ბავშვების გამოკითხვის მულტიდისციპლინური მოდელის განვითარების საკითხს. სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ, რომელიც აღნიშნული მოდელის განვითარების საფუძველს მოამზადებს. ამ პროცესში კომისიას ტექნიკურ დახმარებას გაეროს ბავშვთა ფონდი გაუწევს.

სხდომის მონაწილეებმა, ასევე, იმსჯელეს „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის აღსრულებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. ყურადღება გამახვილდა ადრეული და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების შენობა-ნაგებობის, ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის და შენობა-ნაგებობის მოწყობასთან დაკავშირებულ ტექნიკურ რეგლამენტზე, რომელსაც საქართველოს მთავრობა დაამტკიცებს. რეგლამენტთან დაკავშირებით სხდომის მონაწილეებს ინფორმაცია ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარმომადგენელმა მიაწოდა. სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, აღნიშნულ დოკუმენტს მთავრობას ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო დასამტკიცებლად მომავალ კვირას წარუდგენს, რის შემდეგაც დაწესებულებების ავტორიზაციის წესიც დამტკიცდება.

SOS!

საქართველო მსოფლიოს ოთხ ქვეყანას შორისაა, სადაც მოსახლეობა ემიგრაციის ხარჯზე მცირდება

საქართველოში სამუშაო ძალის კლების ტენდენცია შეინიშნება. ამის ძირითადი მიზეზებია: შობადობის დაბალი მაჩვენებელი, მიგრაცია და მოსახლეობის დაბერება! მსოფლიოში სულ ოთხი ქვეყანა არსებობს, სადაც მოსახლეობა მცირდება არა ბუნებრივი მატების შემცირების, არამედ ემიგრაციის ხარჯზე და მათ შორის არის საქართველოც.

„საზოგადოება და ბანკებმა“ ილიაუნის „ფინანსური განათლების ცენტრთან“ ერთად კვლევა ჩაატარა და დაადგინა, რომ შობადობა 1995-2002 წლებში ყოველწლიურად საშუალოდ 3%-ით მცირდებოდა. ამან დღეისათვის შეამცირა იმ ადამიანთა რაოდენობა, ვინც ჩართული უნდა ყოფილიყო ეკონომიკურ საქმიანობაში.

სამწუხაროდ, ყოველწლიურად იზრდება ემიგრანტთა რაოდენობა. „საქსტატის“ შინამეურნეობათა გამოკვლევის თანახმად, 2002 წლიდან 2017 წლის ჩათვლით, ქვეყნიდან გასულია დაახლოებით 1.4 მილიონი ადამიანი, რომელთა დაახლოებით 20% ფლობს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დიპლომს, ანუ საზღვარგარეთ წასულთა თითქმის მეხუთედი წარმოადგენს სამუშაო ძალის იმ ნაწილს, რომელიც მაღალი ადამიანური რესურსით ხასიათდება და შეეძლო საკუთარი წვლილი შეეტანა ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაში. „საქსტატის“ თანახმად, ემიგრანტთა საშუალოდ 66% 40 წლამდე ასაკისაა. სპეციალისტები ყურადღებას იმაზეც ამახვილებენ, რომ სამუშაო ძალის ტოტალური გადინება ქვეყნის ეკონომიკაზე ძალიან უარყოფით გავლენას ახდენს.

„მძიმე დემოგრაფიული ფონი და ემიგრაციის მაღალი დონე ეკონომიკაზე ძალიან ცუდად მოქმედებს. ქვეყანაში სოციალური პრობლემებია და ამის გამო ადამიანებს ურჩევნიათ უცხოეთში წავიდნენ. ცირკულარული მიგრაციის პროექტი შრომითი ძალის გადინებას იწვევს და უარყოფითად აისახება ქვეყნის მომავალზე.

ეს არის ცუდსა და უარესს შორის არჩევანი. სახელმწიფოს ამ ეტაპზე ურჩევნია, რომ ის შეღავათები დააწესოს, რასაც ასოცირების ხელშეკრულება და უვიზო რეჟიმი გულისხმობს, ვიდრე უკანონოდ გასული ემიგრანტების რაოდენობა გაიზარდოს“, — აღნიშნა ეკონომიკის დოქტორმა პაატა არაშიძემ.

აღსანიშნავია მოსახლეობის დაბერების ტენდენციაც. 2010-2017 წლებში 65 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი მთელ მოსახლეობაში ყოველწლიურად საშუალოდ 0.4%-ით იზრდებოდა და 2017 წლის მდგომარეობით 14.6% შეადგინა. მაშინ, როდესაც ანალოგიური მაჩვენებელი მსოფლიოსთვის საშუალოდ 8.7%-ია.

კვლევაში აღნიშნულია, რომ 2008 წლის შემდეგ ქვეყანაში დაბადებულთა რაოდენობა გარდაცვლილთა რაოდენობას აჭარბებს და, რომ არა ემიგრაციის მაღალი მაჩვენებელი, მოსახლეობის რიცხოვნობა საქართველოში უნდა გაზრდილიყო. მსოფლიოში არსებობს ოთხი ქვეყანა, სადაც მოსახლეობა მცირდება არა ბუნებრივი მატების შემცირების, არამედ ემიგრაციის ხარჯზე. ეს ქვეყნებია: ალბანეთი, საქართველო, პუერტორიკო და ესპანეთი.

ჯერჯერობით ემიგრაციის ტალღა არ იკლებს. მიზეზი კი ისაა, რომ საქართველოში ცხოვრების დონე ვერაფრით უმჯობესდება. აკადემიკოსი ავთო სილაგაძე ფიქრობს, რომ ბოლო პერიოდში მიგრაცია უვიზო მიმოსვლამაც წაახალისა.

„საყოველთაოდ ცნობილია, რომ ჩვენთან დაბალი შემოსავალი და ცხოვრების არასახარბიელო პირობებია. ამიტომ ათიათასობით ადამიანს უცხოეთისკენ უჭირავს თვალი. ამას ხელი შეუწყო ახალმა მოვლენამ, ევროკავშირთან ხელმოწერილმა ასოციირების ხელშეკრულებამ, რამაც გააადვილა ლეგალურად დასაქმება ან წასვლა და იქ არალეგალურად დარჩენაც. ეს არის კომპლექსურად იმ პრობლემათა ჩამონათვალი, რაც ქვეყნის შიგნით სამუშაო ძალას ამცირებს“, — აღნიშნა სილაგაძემ.

ბექა დანელია

მიშა, შენ დედა გყავს?!

ნუ წაბილწავთ კოლიზეუმს!

ხვალ რომისკენ კიდევ ერთხელ მივა ყველა გზა — მარადიული ქალაქი პრონაცური ქართული ემიგრაციის მეორე თავყრილობას უმასპინძლებს, სადაც, ბუნებრივია, სოლისტის არიებს თვით „დიდი მიხეილი“ და მისი გაევროპელებული ნაზირ-ვეზირი გიორგი სიგუა შეასრულებენ.

ამ უკანასკნელს, გასაგებ მიზეზთა გამო (მაგალითად, კაზანტიპის დროს ჩვენი ახალგაზრდობის ნარკოტიკული თრობის ხარჯზე ჯიბის გასქელება და სხვა არაკაცობანი) ამჯერად იმდენ პატივს ვერ დავდებთ, რომ მისივე სათაყვანებელი ფიურერის ჩრდილიდან გამოვიყვანოთ და ჩვენი გაზეთის თუნდაც მცირედი ყურადღება დავუთმოთ, ამიტომ პირდაპირ იმ ანტისომხურ კამპანიაზე გადავალთ, რომელიც იტალიური ფორუმის წინ უსამშობლო მაწანწალამ ააგორა.

დიახ, იმის განცხადება, თითქოს ერთ-ერთმა ამერიკულმა კლინიკამ თვალნათლივ დაადასტურა, რომ 99 პროცენტით ქართველი და 1 პროცენტით ბერძენი ვარო, ძალაუნებურად გაგახსენებს კაცს ძველ ანდაზას: ქურდს ქუდი ეწვისო და აშკარად პროვოკაციული სუნი ასდის. მართლაც, როცა კარგა ხნის განმავლობაში არავის გახსენებია შენი წარმომავლობა, რაღა მაშინ მოგინდა ფესვთა საკვლევი ტესტის ჩატარება და არა რამდენიმე წლის წინათ, როცა ჩვენმა მეზობლებმა ერთ-ერთი ინტერნეტ-გამოკითხვით ყველა დროის 100 საუკეთესო თანამემამულეს შორის დაგასახელეს?

ანდა, სად წაუხვალ იმ ფაქტს, რომ შენი სეხნია პაპა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის პირველი რექტორის პოსტზე სააკოვის გვარით მოღვაწეობდა და დღესაც პატივისცემით მოიხსენიებენ?

ნუთუ ვერ უნდა ხვდებოდე, რომ ამით საქილიკოდ დამატებით „სატოპკეს“ უწევ მათ, ვინც ბოროტად ქირქილებს, კაცმა არ იცის, ვისგან გაარჩინა დედამისმა ეს სატანაო — ხომ იცით, ენას ძვალი არა აქვს.

ხვალ, მოგეხსენებათ, დედის დღეა და ყველას გილოცავთ!

ჰო, მართლა, მიშა, შენ დედა გყავს?!

გია პლატონიშვილი

სრულყოფილ გენდერულ თანასწორობას მსოფლიოს ექვსმა ქვეყანამ მიაღწია...

სრულყოფილ გენდერულ თანასწორობას მსოფლიოში მხოლოდ 6 ქვეყანამ მიაღწია. ეს ქვეყნებია: ბელგია, დანია, საფრანგეთი, ლატვია, ლუქსემბურგი და შვეიცარია. ამ ექვსმა ქვეყანამ ყველა ასპექტის მიხედვით 100 ქულა მოაგროვა.

რეიტინგის ბოლო ექვსეული, სადაც გენდერული თანასწორობა ყველაზე ცუდ მდგომარეობაშია, ასე გამოიყურება: სირია (34 ქულა), ყატარი (32.5), ირანი (31.25), სუდანი (29.38) არაბეთის გაერთიანებული ემირატები (29.38), საუდის არაბეთი (25.63). საქართველოს 79.38 ქულა აქვს, იგივე ქულა აქვთ ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა ბელიზი, იაპონია, პანამა და თურქეთი.

ისანში სამი ავარიული სახლი გადარჩა!

ისნის რაიონის გამგეობა ავლაბარში, ავარიული სახლების გამაგრების სამუშაოებს სამ მისამართზე ახორციელებს. ამ დროისთვის საცხოვრებელი სახლის კონსტრუქციული მდგრადობისთვის სამუშაოები ქეთევან წამებულის გამზირის №63-ა-ში, კასპის ქუჩის №2-სა და არარატის ქუჩის №23-ში მიმდინარეობს.

ავარიული სახლების გამაგრების სამუშაო პროცესს ისნის რაიონის გამგებელი კახა ლაბუჩიძე, საკრებულოს მაჟორიტარ დეპუტატ ილია ჯიშკარიანთან ერთად გაეცნო და ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდა. პროექტები „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში განხორციელდა. ისნის რაიონის გამგეობამ სამივე მისამართზე საცხოვრებელი სახლების გამაგრების სამუშაოები 132 369 ლარით დააფინანსა.

პი განხორციელდება, რომლის ფარგლებშიც, სახლის საძირკველი და მზიდი კედლები გამაგრდება. აღნიშნული სამუშაოებისთვის გამგეობის ბიუჯეტიდან 136 ათასი ლარია გამოყოფილი. მეორე ეტაპისთვის კი ჭვირული აივნისა და ფასადის კარის რეაბილიტაციაა დაგეგმილი.

შენობა, რომელიც დაახლოებით, 150 წელს ითვლის, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსს ატარებს. აღნიშნულ სახლში ცხოვრობდნენ პოეტი და საზოგადო მოღვაწე სიმონ ჩიქოვანი, მსახიობები — გიორგი შავგულიძე და გრიგოლ კოსტავა, პოეტი და პროზაიკოსი არჩილ სულაკაური, ასევე, გამოჩენილი ქართველი პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწეები — ძმები იასონ და ლეო კერესელიძეები.

მე-19 საუკუნის მრავალბინიანი ნაგებობა კაპიტალურად გამაგრდება

მთაწმინდაზე, ძმები ზუბალაშვილების ქ. №29/7-ში, მე-19 საუკუნეში აგებული ისტორიული შენობის კაპიტალური გამაგრება მიმდინარეობს.

პროექტს მთაწმინდის გამგეობა „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში ახორციელებს.

მრავალბინიანი ავარიული სახლი რაიონის გამგებელმა დავით კირკიტაძემ დაათვალიერა და შენობის კონსტრუქციული ელემენტების გამაგრებისთვის მოსამზადებელ სამუშაოებს გაეცნო.

მიმდინარე წელს პროექტის მხოლოდ პირველი ეტა-

დადიანების სახლ-მუზეუმში ჭერი ჩამოინგრა!

დადიანების სასახლის ისტორიულ-არქიტექტურულ მუზეუმში ჭერის ნაწილი ჩამოინგრა, რის შედეგადაც რამდენიმე ნივთი დაზიანდა.

„ნიუპოსტის“ კორესპონდენტის თქმით, ეკატერინეს სასახლე ამორტიზებულია და ჭერის ნაწილის ჩამონგრევაც ამან გამოიწვია. ადგილზე სპეციალისტებს ელოდებიან, რაც შეეხება დაზიანებულ ნივთებს, მას თბილისში წამოიღებენ და რესტავრაციას ჩაუტარებენ.

ჩნდება განცდა, რომ უცხოეთიდან არის სიგნალი, „ქართული ოცნება“ არ დარჩეს ხელისუფლებაში 2020 წლის არჩევნების შემდეგ!..

„მესამე ძალა კი არა, ჩვენ პირველი ძალა გვჭირდება, რომელიც ბუფერის როლს კი არ შეასრულებს „ოცნებასა“ და „ნაციონალებს“ შორის, არამედ, რომელიც დაამარცხებს „ქართულ ოცნებასაც“ და „ნაციონალებსაც“, – აცხადებს პოლიტიკაში დაბრუნებული კობა დავითაშვილი. რა პროცესები მიმდინარეობს ქართულ პოლიტიკაში? ამის შესახებ For.ge-ს **კობა დავითაშვილი** ესაუბრა.

– თავის დროზე ჩვენ ვწერდით, რომ არათანამიმდევრული პოლიტიკის შემხედვარე, ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკიდან წასვლას გეგმავდა, თუმცა ექსპერტები ამას გამორიცხავდნენ და მიიჩნევდნენ, რომ ივანიშვილი ყველა მეთოდით ცდილობდა პოლიტიკაში დარჩენას. როგორც ვიცი, თქვენც ფიქრობთ, რომ ბიძინა ივანიშვილი ნელ-ნელა ცდილობს, გაემიჯნოს პოლიტიკას. რის საფუძველზე გრჩებათ ასეთი შთაბეჭდილება?

– ბიძინა ივანიშვილი ცდილობს, გაემიჯნოს პოლიტიკას და ეს შთაბეჭდილება დამრჩა იმ ინტერვიუს საფუძველზე, რასაც მოჰყვა შემდგომი ქმედებები. კერძოდ, როდესაც ბატონმა ბიძინამ პოლიტიკაში დაბრუნების შემდეგ პირველი ინტერვიუ მისცა საზოგადოებრივ არხს, იქ განაცხადა, რომ ჩვენთვის პრეზიდენტის პოსტი უკვე აღარ არის მნიშვნელოვანი და შესაძლოა, დამოუკიდებელ კანდიდატს დავუთმოთ, არ მივიღოთ მონაწილეობა არჩევნებში და საერთოდ ოპოზიციას დავუთმოთ ეს პოსტიო. მთელი საარჩევნო კამპანია და პასიურობა „ოცნებისა“ სალომე ზურაბიშვილის კამპანიაში ადასტურებდა იმას, რომ თითქოს „ოცნება“ სადღაც გულის სიღრმეში წინააღმდეგი არც იყო, წაეგო ზურაბიშვილს ის არჩევნები, ან მინიმუმ, მეორე ტური შემდგარიყო.

მთელი კამპანიის განმავლობაში მიდიოდა შეუწყვეტელი თავდასხმები სალომე ზურაბიშვილის მისამართით „ნაცმოძრაობის“, „რუსთავი-2“-ის მხრიდან და პირველ ტურამდე არ მახსენდება, „ოცნება“ რაიმე ფორმით გამოსარჩლებოდა ზურაბიშვილს. მახსოვს, მე გავდიოდი დებატებში და მე ვიცავდი სალომე ზურაბიშვილის პოზიციებს, მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკოსი არ ვიყავი იმ მომენტში. ზოგჯერ სალომე ზურაბიშვილის განცხადებას მთავრობისა და ხელისუფლების რამდენიმე წარმომადგენელი ემიჯნებოდა კიდეც.

– მხოლოდ საპრეზიდენტო არჩევნებში პასიურობით დასტურდება, რომ ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკიდან მიდის, თუ არის სხვადასხვა არგუმენტები - თუნდაც არაპოპულარულ მოსამართლეთა თავსმოხვევის საკითხი, სამართლიანობის არაღდგენა?

– აქ მხოლოდ მოსამართლეების საკითხი არ არის... როდესაც ხელისუფლების მიერ დანიშნულმა მოსამართლეებმა საკონსტიტუციო სასამართლოში მიიღეს მარიხუანას მოხმარების ლეგალიზაციის გადაწყვეტილება 30 ივლისს, ამის შემდეგ შუა საარჩევნო კამპანიაში მთავრობამ მარიხუანას კულტივაციის კანონპროექტი შემოიტანა. დავუშვათ, რაღაც არ ესმის ბატონ ბიძინას, მაგრამ NDI-ის მაშინდელი გამოკითხვა მახსოვს, რომელმაც დაწერა, მოსახლეობის 75% მარიხუანას ლეგალიზაციის წინააღმდეგიაო. მე მგონია, რომ 95%-ია მარიხუანას ლეგალიზაციის წინააღმდეგი, მაგრამ NDI-მ 75% დაწერა. მოგეხსენებათ, NDI მაინც ლიბერალური ფრთაა და ლიბერალების სასარგებლოდ ზრდის მონაცემებს, მაგრამ NDI-მაც კი აღიარა, რომ ხელისუფლებამ ხალხის ნების საწინააღმდეგო ნაბიჯი გადადგა შუა საარჩევნო კამპანიისას. ამით ხელისუფლებამ პოლიტიკური თვითმკვლელობა განახორციელა.

ის, რომ სამართლიანობა არ აღდგა, ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ ბიძინა ივანიშვილს ხელისუფლებიდან ხავერდოვანი წასვლა სურს, რათა არ დახვდეს წინ, რომ პოლიტიკაში ყოფნისას ვიღაცას დევნიდა.

– მართალი გითხრათ, მე არ ვიცი, რა არის ივანიშვილის არგუმენტი, მაგრამ მას რომ „ნაცმოძრაობა“ ხავერდოვნად არ მოეპყრობა ხელისუფლებაში მობრუნების შემთხვევაში, ესეც იმთავითვე ცხადია.

რა პროცესები მიმდინარეობს „ოცნებაში“, სად მიდიან „ოცნებიდან“ და ხომ არ არის ეკა ბესელია ის სატელიტი, რომელიც სჭირდებოდა ე.წ. მესამე ძალად „ქართული ოცნების“ შიგნით ბიძინა ივანიშვილს?

– არ მაქვს იმის განცდა, რომ ბიძინა ივანიშვილს და „ქართულ ოცნებას“ გაცნობიერებული აქვს, რომ მას რაღაც სჭირდება და მესამე ძალა სჭირდება. უბრალოდ, ჩვენ მოვისმინეთ, რომ ეკა ბესელიას საპატიო გაცილება და აქტიური პოლიტიკიდან წასვლა იგეგმებოდა შემდეგი სქემით: ის უნდა წასულიყო გავლენიანი კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობიდან და გადასულიყო საპატიო, ფორმალურად უფრო მაღალ, მაგრამ არაფრის მთქმელ თანამდებობაზე, რასაც ვიცე-სპიკერობა ჰქვია. როგორც ჩანს, ეკა ბესელიამ გადაწყვიტა, როგორც პოლიტიკური გამოცდილების მქონე ადამიანმა, რომ თავისი გადადგომა იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობიდან პოლიტიკურად ლამაზად გაეფორმებინა. აქედან დაიწყო ყველაფერი და ეკა ბესელიამ თქვა, ჩემი გადადგომის მიზეზი იყო მოსამართლეთა დანიშვნის პროცესი და, აგერ, ეს საკითხი გადადო პარლამენტმა. გაირკვა, რომ მან ვერაფერიც ვერ შეაჩერა, მეორე დღესვე მურუსიძემ დაინიშნა თავი უვადო მოსამართლედ, ყველა დისკრედიტირებული მოსამართლე უკვე დანიშნულია უვადოდ. მართალი გითხრათ, ის კანონპროექტიც, რომელიც შეიტანა ეკა ბესელიამ, მურუსიძეს, ჩინჩალაძეს, გვრიტიშვილს ვერაფერს აკლებს. ყველანი უკვე დანიშნულნი არიან უვადოდ და არც ის მესმის, ვინც ამ კლანის უშუალო საახლობლო არ არის და სადღაც მეორე-მესამე ეშელონია, მათი დანიშვნის შეჩერება რაღა ეფექტის მომტანია? კიდევ შეიკრიბნენ ეს მოსამართლეები და იმის ნაცვლად, რომ გამიჯნოდნენ კასტას, გამოაცხადეს, ჩვენც მურუსიძეები ვართო. რეალურად, ისინიც გასაშვებნი არიან და უვადო დანიშვნების შეჩერებით ეს საკითხი ვერ გადაწყდება, ამას სჭირდება სხვა კანონპროექტი, ამას სჭირდება კონსტიტუციური ცვლილებები.

ცხადია, მარტო მურუსიძეში არ არის პრობლემა. მურუსიძესთან მორიგება შედგა 2015 წელს. მანამდე მისი ადგილი მორიგება-გარიგების მხრივ ეკავა კუბლაშვილს, რომელსაც ბიძინა ივანიშვილი შეხვდა. შეთანხმება შედგა ბიძინა ივანიშვილსა და კუბლაშვილს შორის, რომელიც მე გავაკრიტიკე 2013 წელს. მერე, როდესაც ბაჩო ახალაია ერთ-ერთ საქმეზე გაამართლა მოსამართლემ და „ქართულმა ოცნებამ“ გამოაცხადა, ეს დამოუკიდებელი სასამართლოს გამარჯვებაა და უნდა ვიზეიმოთო, მე არ ვიზეიმე და დავტოვე უმრავლესობა. ასე რომ, დღესაც ეკა ბესელიას შესანიშნავად ესმის, რომ კობახიძე-მდინარაძე აქ არაფერ შუაშია, ეს არის ბიძინა ივანიშვილის კურსი სასამართლო ხელისუფლების, წინა რეჟიმის დროს სახელგატეხილ ადამიანებთან შეთანხმება-გარიგების თვალსაზრისით.

– რაში სჭირდება ბიძინა ივანიშვილს მათთან შეთანხმება-გარიგება?

– ეს ცალკე საკითხია. მართალი გითხრათ, ბოლომდე ამის რაციონალური ახსნა არ მაქვს. მე ეს განცდა მაქვს, რომ ეკას უშვებდნენ არა იმიტომ, რომ „ოცნების“ შიგნით ის კამათობდა, თუმცა შეიძლება კამათი იყო კიდეც და შეიძლება მან სადღაც პრინციპული აზრი გამოხატა კიდეც. ჩვენ უნდა დავაკვირდეთ, როგორ შეცვალა შემადგენლობა ბიძინა ივანიშვილმა და რა ნაბიჯები გადადგა, მან დაშალა კოალიცია. კოალიცია შედგებოდა მრავალი პარტიისგან, არჩევნებში ის გავიდა ერთი პარტიის სახელით. მართალია, ფორმალურად ბევრი ფრაქცია არსებობს, არსებობს კონსერვატორების ფრაქცია, სოციალ-დემოკრატების ფრაქცია, მწვანეთა ფრაქცია, მაგრამ ისინი კოალიციის სუბიექტები არ არიან. კოალიცია არ არსებობს, ფაქტობრივად, პოლიტიკოსები განდევნილ იქნენ პროცესიდან, ჯერ კოალიციის წევრი პოლიტიკოსები განიდევნენ და შემდეგ დაიწყო „ქართული ოცნების“ დეპოლიტიზაცია. უცნაური რამ არის, პოლიციის და ჯარის დეპოლიტიზაცია გამიგია, მაგრამ პოლიტიკის დეპოლიტიზაცია რაღაც ახალი და უცხო მოვლენაა. ყველაფერ ამის გათვალისწინებით, დღესდღეობით საჭიროა ახალი პოლიტიკური ძალის შექმნა, რომელიც მოვა ხელისუფლებაში და გაატარებს იმ პოლიტიკას, რაც ხალხს უნდა, რომელიც სამართლიანობას საბოლოოდ აღადგენს ამ ქვეყანაში.

– თქვენ დაბრუნდით პოლიტიკაში და თქვენი მიზანი კონსერვატიული პოლიტიკური ძალის ფორმირებაა. როგორ ფიქრობთ, შეძლებთ ე.წ. მესამე ძალად ფორმირებას?

– მესამე ძალა კი არა, ჩვენ პირველი ძალა გვჭირდება. ეს იქნება არა ის ძალა, რომელიც ბუფერის როლს შეასრულებს „ოცნებასა“ და „ნაციონალებს“ შორის, არამედ ჩვენ გვჭირდება ძალა, რომელიც დაამარცხებს „ქართულ ოცნებასაც“ და „ნაციონალებსაც“. **არის საკითხები, რომლებშიც ერთმანეთთან ვითომც დიდი კამათი აქვთ, მაგრამ ისინი ერთიანნი არიან.** მე ვაპირებ, პირველი ძალის ფორმირებას შევუწყო ხელი და ამისთვის მონაწილეობას მივიღებ მთაწმინდის ოლქში პარლამენტის შუალედურ არჩევნებში, რომელიც მაისში გაიმართება. შემოკრებილი მყავს ახალგაზრდა, ტრადიციული ღირებულებების მომხრე აქტივისტთა ჯგუფი, რომლებსაც სურთ ტრადიციულ ღირებულებათა დაცვა საკანონმდებლო დონეზე. მათ სურთ, პარლამენტში ჰყავდეთ ისეთი ადამიანი, რომელიც ისაუბრებს ტრადიციულ ღირებულებათა დაცვაზე, შეიტანს კონკრეტულ კანონპროექტებს და იბრძოლებს ამ კანონპროექტთა გასატანად. ეს იქნება „ნაცმოძრაობისა“ და „ქართული ოცნების“ დამარცხება, ეს იქნება ნიშანი საზოგადოებისთვის, რომ ხელისუფლების შეცვლა, ამ ორივე ძალის დამარცხება შესაძლებელია და არ არის მხოლოდ არჩევანი ცუდსა და უარესს შორის. ჩემი ამოცანაა იდეოლოგიაზე, ტრადიციულ ფასეულობებზე დამყარებული პოლიტიკური ძალის ფორმირება და საერთაშორისო კავშირების დამყარება ასეთივე ევროპულ ძალებთან, რომლებიც დღეს ხელისუფლებაში მოვიდნენ იტალიაში, უნგრეთში, ავსტრიაში, პოლონეთში, ანუ სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში, ხოლო ჩრდილო-დასავლეთ ევროპაში სერიოზულ შედეგებს მიაღწიეს. მართალია, ჯერ ხელისუფლებაში ვერ მოსულან, მაგრამ სერიოზულად გაიუმჯობესეს შედეგები.

ესაუბრა
მანანა ნოზაძე

იტალიური ქალაქი ქუთაისს უკავშირდება

პულიის რეგიონში, საქართველოს საპატიო საკონსულოს ორგანიზებით, გაიმართა საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის, კონსტანტინე სურგულაძის ვიზიტი პულიის რეგიონში. ვიზიტის ფარგლებში საქართველოს ელჩი შეხვდა პულიის რეგიონის ეკონომიკური განვითარების ხელმძღვანელს კოსიმო ბორაჩინოს.

შეხვედრაზე საუბარი შეეხო ორმხრივი ურთიერთობების განვითარებას ეკონომიკის, კულტურისა და განათლების სფეროებში. ხაზი გაესვა პულიის ტერიტორიაზე არსებული ქართული დიასპორის მნიშვნელობას ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავების საქმეში. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ტურიზმის სფეროში თანამშრომლობის გაღრმავებაზე და ამ კონტექსტში ხაზი გაესვა აგვისტოდან ბარი-ქუთაისის პირდაპირი რეისის ამოქმედების მნიშვნელობას

შეხვედრის შედეგად გადაწყდა, რომ უახლოეს მომავალში, პულიის რეგიონის ხელმძღვანელობა, ბიზნესწრეების წარმომადგენელთა თანხლებით, საქართველოს ეწვევა და ადგილზე გაეცნობა საქართველოში არსებულ ბიზნესგარემოს, ვაჭრობის, წარმოების, კულტურის, განათლებისა და სპორტის სფეროებში თანამშრომლობის შესაძლებლობებს.

შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ საქართველოს საპატიო კონსული პულიაში აურელიო ჯირონდა და საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე.

ვიზიტის ფარგლებში, კონსტანტინე სურგულაძე ქალაქ ბარის მერს ანტონიო დეკაროს შეხვდა. შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს სხვადასხვა სფეროში თანამშრომლობის აქტუალური საკითხები.

ვინ დაგვიმახინჯა დედაქალაქი?!

სულ ახლახან თბილისის მერმა სენსაციური განცხადება გააკეთა. უფრო სწორად, როგორც თბილისელებმა აღიქვეს, კახა კალაძემ კიდევ ერთი სასიკეთო ინიციატივა წამოიწყო. მან თქვა, ამიერიდან, ერთხელ და სამუდამოდ, ბოლო მოეღება იმ ქაოსსა და განუკითხაობას, რომელიც ქალაქის მერიისა და საკრებულოს გადაწყვეტილებით, 2005 წლიდან მტკიცედ იყო დამკვიდრებული დედაქალაქის განაშენიანებაშიო. კერძოდ, ნებადართული იყო მავნებლური პრაქტიკა – მშენებლობის კოეფიციენტის გადამეტება (პროექტით წარმოდგენილი იყო, ვთქვათ, ათსართულიანი კორპუსის მშენებლობა, ფაქტობრივად კი შენდებოდა 20 და 25-სართულიანი ცათამბჯენები), რაც იწვევდა თბილისის ქაოტურ განვითარებას, ფაქტობრივად, დედაქალაქის დამახინჯებას და ყოველივე ამას დამატებულ ავტოსატრანსპორტო კოლაფსს.

ამ აღვირახსნილ უგვანო მშენებლობას, დედაქალაქის ტრადიციულ იერსახეს ასე უმერთოდ რომ ამახინჯებდა, ნუთუ თბილისის საზოგადოება დამუნჯებული შესცქეროდა და ხმის ამოღებას ვერავინ ბედავდა? არა, რა თქმა უნდა, ამის თაობაზე საზოგადოებაში იყო დიდი უკმაყოფილება და პროტესტი, მწვავედ ისუსხებოდა პრესაც, მაგრამ „ზემდგომთაგან“ მომსმენი და განმკითხავი რომ არავინ ჩანდა? მახსოვს, ერთ ჩემ კრიტიკულ სტატიას, რომელიც ამ რამდენიმე წლის წინათ „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაისტამბა, ქალაქის მესვეურთა გამოსაფხიზლებლად მყვირალა სათაურიც („ჩალით დახურული დედაქალაქი“) კი მივეცი, მაგრამ რას ეძებ, რა დაგიკარგავს – მასაც არავინ გამოხმაურებია.

ზოგმა ეს ამბავი საქილიკოდაც კი გაიხადა, – ჩალით დახურული ქვეყანა კი გაგვიგია, მაგრამ იმავე ჩალით თუ დედაქალაქის გადახურვაც შეიძლებოდა, ეს ვეღარ წარმოგვედგინაო. რა თქმა უნდა, პატივცემულო მკითხველო, არც ქვეყანა გვაქვს დახურული მაინცდამაინც ევროპული კრამიტით, მაგრამ ამჯერად საუბარია ბუნებრივი მშვენიერებით მთელ მსოფლიოში ულამაზეს ქალაქად აღიარებულ თბილისზე, რომელსაც კი ოც წელიწადზე მეტია ხელისუფალნი, მერიის გადაყენებული თუ გადაუყენებელი მაღალჩინოსნები უმოწყალოდ ამახინჯებენ, რადგან თბილისში სამშენებლო პროექტების შესაბამის გათვლებს არავინ აკეთებს და არც არავინ კითხულობს, მშენებელი ინჟინერი ხარ თუ ცეკვის მასწავლებელი. მშენებლობის სადავეები ხელთ იგდეს არაკაცებმა, რომლებიც ჰაიჰარად ყიდდნენ სარფიან ადგილებს, სართულიანობას, ბაღებსა და სკვერებს, მზესა და ჰაერს, სინდისსა და ნამუსს... და შედეგად მივიღეთ ის, რაც მივიღეთ – არქიტექტურული ნაგებობებისა და უბნების ნაცვლად არქიტექტურული ურჩხულები(!).

ამის „საუკეთესო“ მაგალითია სპორტის სასახლე და მის ირგვლივ მიმოფენილი „ბეტონ-ქალაქი“. საკუთარ მუცელს გადაყოლილ ქალაქის მესვეურებს თუ ახალმშენებლობისა არაფერი გაეგებათ, ის მაინც ხომ უნდა სცოდნოდათ, რომ სპორტის სასახლე უნიკალური არქიტექტურული ნაგებობაა და მის გარშემო, გარკვეული რადიუსით, იკრძალება ისეთი შენობების აგება, რომელიც მის ღირებულებას დააკნინებს. დიახ, სპორტის სასახლე, წესისა და რიგის მიხედვით, უნდა ყოფილიყო არქიტექტურული დომინანტი, მიმდებარე ტერიტორია კი – აჩხაბაჩხა შენობებისგან დაცული. მაგრამ უგულავას მადას რას გამოაპარებ, გაისწორა თუ არა მერის სავარძელი, უმალ იყნოსა, რომ ქალაქის ამ კოპწია უბანში მიწას დიდი ფასი აქვს და მთელი ეს მიდამო სამშენებლო პოლიგონად და ფულის საჭრელ დაზგად აქცია. ჰოდა, აბა ეცადეთ და ამ დონ-კიხოტების მიერ აშენებული ქალაქის ცადაწვდენილ კორპუსებს შორის ერთი გამწვანებული ეზო, ერთი მცირე პარკი, ბავშვებისთვის განკუთვნილი მარტივი ტიპის სათამაშო მოედანი მაინც აღმოაჩინეთ. რაც არ არის, რას აღმოაჩენთ(!). აღარაფერს ვამბობ საბავშვო ბაგა-ბაღებზე (ყველა ისინი კერძო ბინებშია განთავსებული) და სკოლებზე, რომელთა არსებობა აქაურ მშენებლებსა და დამგეგმარებლებს ძილშიც არ დასიზმრებიათ. მათი ეს შეცდომა თუ ფულს გადაყოლილი სიხარბე დღესაც მოუშუშებელ ტკივილად აწევს ამ უბნის (და არა მარტო ამ უბნის) მოსახლეობას. აქ ადამიანები ისევე დათრგუნვილად გრძნობენ თავს, როგორც მგალობელი ფრინველები გალიაში, ან კალმახები და ორაგულები – აკვარიუმში.

ამ უბანში, როგორც ქალაქის წესსა და რიგს შეეფერება, ცათამბჯენებს შორის მორჩენილი ვიწრო ზოლებისთვის, რომლებიც სოფლის შუკებს უფრო მოგვაგონებენ, ადამიანთა და ავტომობილთა სავალად, ქუჩის სახელებიც (ალმასიანის, ბერბუკის, აფაქიძის, ალექსიძის და სხვა) შეურქმევიათ, მაგრამ ისინი ისევე ასრულებენ თავიანთ მოვალეობას, როგორც პარლამენტში დამოუკიდებელ დეპუტატებად ჩანერგილი „ნაცები“. იმ ერთი კახელისა არ იყოს, რა ქუჩები, რის ქუჩები, ეს უბრალოდ აქეთ-იქიდან ავტომანქანებით ჩახერგილი ადგილებია, რომელთა უხიფათოდ გავლას არა მარტო მძღოლები, ქვეითად მოსიარულენიც კი ძლივს, ვაი-ვაგლახით ახერხებენ. აღარაფერს ვამბობ ნაგავმზიდ ავტომანქანებზე, რომელთა მძღოლებმაც კაი ორ კვირაზე მეტია „გაფიცვა“ გამოაცხადეს – ქუჩებში გადმოჩაჩხულმა კორპუსებმა ურნებთან მისასვლელი გზა აღარ დაგვიტოვეს და თუ აქაურობა აყროლდა, ჩვენ ნურავინ დაგვაბრალებსო. აკი აყროლდა კიდეც, მაგრამ, ეტყობა, ჯერჯერობით სუნმა ქალაქის მუნიციპალიტეტის ცხვირზე ბადეაფარებულ მუშაკებამდე ვერ მიაღწია და მენაგვეებიც „ზამთრის არდადეგებს“ ნებიერად აგრძელებენ.

ასეთ მძიმე სიტუაციაში „გონიერება“ გამოიჩინეს საპატრულო პოლიციის მუშაკებმა, რომელთაც ავტომანქანებისგან ქუჩების განტვირთვის მიზნით სპორტის სასახლის მთელი გარე პერიმეტრი საგულდაგულოდ დახაზეს და იქ სადღეღამისო ავტოსადგომები მოაწყვეს. მეპატრულეთა მცდელობამ „უკვალოდ არ ჩაიარა“. ეს განსაკუთრებით იგრძნობა იმ დღეებში, როცა აქ სპორტული შეჯიბრებები ან სხვა სახის ღონისძიებანი ეწყობა. პოლიციელთა ოფლში ცურვის მიუხედავად, აქ ისეთი დომხალი იყენა, რაც იმით გამოიხატა, რომ სპორტის სასახლის ვესტიბიულის დიდ ფართობზე ევროპული ბრენდით მოვაჭრე მარკეტი განათავსა. ამას დაემატა სასახლის ეზოშივე ჩადგმული პროდუქტებით მოვაჭრე უნივერსალური მაღაზია და „სენდვიჩებისა და სალათების“ ულტრათანამედროვე ობიექტი, რომელმაც მეზობელ „მაკდონალდსთან“ და ასევე სადღეღამისოდ მომუშავე „საშაურმესთან“ ერთად სპორტის მოყვარულთა უნიკალური კვების მთელი კომპლექსი შექმნა. ერთადერთი უკმაყოფილო და განაწყენებული სასახლის წინ მდგომი „მზეჭაბუკი“ დარჩა, რომელიც, თურმე, უსაქმურობისგან თავის დასაღწევად „სალათებისა და სენდვიჩების“ გვერდით სახინკლის ჩადგმას გეგმავს...

სასაცილოა, არა? ალბათ, უფრო სატირალი და სამარცხვინო, ვიდრე სასაცილო, მაგრამ ამ ყველაფერს, რასაც მარტივად დანაშაულებრივი მარაზმი შეიძლება დავარქვათ, ხომ ჰყავს თავისი ავტორი? რა თქმა უნდა, ჰყავს და ეს პატივცემული ავტორი გახლავთ ნაციხარი, თბილისის მერყოფილი გიგი უგულავა (ნარმანია მის დაწყებულ საქმეს ინერციით აგრძელებდა), რომელსაც იმდენი ნამუსიც არ შერჩა, რომ გაჩუმდეს მაინც და ყურები ტრაბახით არ წაგვჭამოს – ნახეთ, თბილისელები რა ქალაქსა ვწიე, ეს უქნარები კი („ოცნებაზე“ ამბობს) მილიონების გაფლანგვას მედავებიანო. ამ მთავრობის კომპეტენტურობასა და მარიფათს რა ვუთხარი, თორემ ათგზის დამნაშავე უგულავა ამდენ ყბედობას როგორ უნდა ბედავდეს. ვთქვათ, ის 48 მილიონი ლარი, რომელსაც ჩვენი უნიათო პროკურატურა ედავება, უგზო-უკვლოდ დაეკარგათ და ვეღარ პოულობენ, მაგრამ უგულავას ნაშენებ-ნამახინჯევ ქალაქს, რომელშიც სხვა უბნებს რომ თავი დავანებოთ, მარტო სპორტის სასახლის დღევანდელი ყოფაც გამოდგება, რას უშვრებიან? ჰოდა, თუ გვინდა, რომ ნაცებმა მომავალ არჩევნებში გაიმარჯვონ, თბილისის მერყოფილს ზურგზე თავისი ნახელავ-ნამამაძაღლარი ქალაქის სურათი უნდა გავაკრათ და უბან-უბან ჩამოვატაროთ. აი, ნახავთ, ხმების როგორი ნიაღვარი მიაწყდება იმ უბანს, სადაც ნაცები უგულავას კაიკაცობით კენჭს იყრიან.

ამ ფონზე კახა კალაძის ინიციატივის გამოჩენა მართლაც რომ მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნის ტოლფარდია. თუ ამ თაოსნობას თან მოჰყვება რეალური საქმეები, სამშენებლო რეგულაციები გამკაცრდება და მშენებელ ბიზნესმენთა გაუთავებელი თვითნებობა აილაგმება, მართლაც შეიძლება იმედი ვიქონიოთ, რომ სამომავლოდ მაინც ნორმალურ, ცივილიზებულ ქალაქში მოგვიწევს ცხოვრება. ოღონდ იმ პირობით, თუ ჩვენი ქარაქუცა ნაცები ამ თაოსნობის ავტორობას, როგორც სჩვევიათ, რუსულ პროპაგანდას და პუტინს არ დააბრალებენ!..



ოთარ ხუციშვილი

დოყლაპია მშენებლები

ლენტეხის მუნიციპალიტეტში ხიდი რეაბილიტაციამ უფრო დააზიანა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მონაცემებით, ლენტეხის მუნიციპალიტეტში, სოფელ ხერიის ხიდის რეაბილიტაციაზე 64.2 ათასი ლარი დაიხარჯა. სამუშაოების შედეგად, ხიდი უფრო მეტად დაზიანდა, რაც სამუშაოს მიმდინარეობისას დაშვებულ ხარვეზებს უკავშირდება.

ხელშეკრულება 2017 წელს შპს „ტუკასთან“ (TU-KA) გაფორმდა. უნდა გამაგრებულიყო ოთხი ბურჯი, სავალი ნაწილი კი ლითონის ფურცლებით მოწყობილიყო. სამუშაოების დასრულების ვადად 2018 წლის 6 იანვარი განისაზღვრა. აუდიტის სამსახურის ცნობით, ხიდის მთავარ პრობლემას წარმოადგენდა ბურჯების გამაგრება. თუმცა, მიმწოდებელმა სამუშაოები ხიდის სავალი ნაწილის მოწყობით და ტრანშეის ამოღებით დაიწყო. 2017 წლის 13 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიამ სავალი ნაწილი ლითონის ფურცლების ნაცვლად, კვლავ ხის ფიცრებით მოაწყო.

„ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის მიუხედავად, სამუშაოები 2018 წლის მაისში გაგრძელდა. ამასთან, პროექტში ცვლილება შევიდა და ოთხის ნაცვლად, ერთი ბურჯის გამაგრება გადაწყდა. ხერიის ხიდი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან ერთად აუდიტის ჯგუფმა 2018 წლის 13 სექტემბერს დაათვალიერა. შედეგად გამოვლინდა, რომ ხიდის მარცხენა ბურჯის ორი ბოძი დაზიანებულია, ერთი ნაწილი გაღუნულია, ხოლო მეორე ნაწილი ძირში გატეხილია. გარდა ამისა, დაზიანებულია ხიდის სავალ ნაწილზე არსებული ფიცარნაგი. აღნიშნულის გამო, ხიდი არ ფუნქციონირებს, რადგან საფრთხეს შეიცავს მასზე სატრანსპორტო საშუალებით გადაადგილება.

ობიექტი დაზიანებულია და საჭიროებს აღდგენით სამუშაოებს. პრობლემის მოსაგვარებლად მუნიციპალიტეტის მხრიდან არ არის გატარებული რაიმე სახის ქმედითი ღონისძიებები“, – წერია აუდიტის ანგარიშში.

ვაჟა ჩორდელი

მესხისა თუ მესისებური კვლევა

ზანდუკელის ქუჩის №1ეზოს ჩაქში, ზამთარ-ზაფხულ ბრძნულად ჩაფიქრებული აკაკის ხის ქვეშ ალმანახ „ამერ-იმერის“ დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი **ვაჟა ჩორდელი** და მე ერთმანეთს შემდეგი ნომრის წანაკითხ და წასაკითხ მასალებს ვაბარებდით. ყველაფერი რომ გავარკვიეთ, მან თავისი ახალგამოცემული, ოთხასოცდაათგვერდიანი რომანის **„გამოქვეყნდეს ცოლის გარდაცვალების შემდეგ“** პირველი ნაწილი მისახსოვრა.

აქეთობას ერთი სული მქონდა, წიგნი შინ მიტანამდე ზერელედ მაინც დამეთვალიერებინა, მაგრამ მეტროს სავსე ვაგონში და თანაც ზეზელა რას გავხდებოდი! რომელიმე ახალგაზრდას შეიძლება ადგილიც დაეთმო არა მაინც-დამაინც ასაკის, არამედ ყდაკრიალა წიგნისა და ზეზელა მკითხველის ხათრით, მაგრამ ამას ვინ ამჩნევდა – უკლებლივ ყველა მათგანი თავისი მობილური ტელეფონის მოუსვენარ ეკრანუკას კისერწაწვდით ისეთი გაშტერებით ჩასჩიჩინებდა, თითქოს კაცობრიობა უნდა იხსნან ანდა დროიანად მაინც გააფრთხილონ ზედ მომდგარი მესამე მსოფლიო, თანაც ბირთვული ომის საფრთხისაგანო!!!

ერთი სიტყვით, ეს ჩემი ზეზეურობა და ვაგონის გამამხნევებელი რუბრუბი განსაღვრავდა ახალნაჩუქარი წიგნის გაცნობის ფორმასა და ხასიათს – მოუთმენელი ფურცვლა და უკუფურცვლა!.. აქაიქ ალალბედური თვალის ჩაკვრა!.. აბზაციდან აბზაცზე მუშტრული გადახტომა-გადმოხტომა!..

თუმც, როგორც მერე მომეჩვენა, თურმე ასეთი ყოფილიყო განგების ჩანაფიქრი: ყოველ გაჩერებაზე იმ ჭყლეტასა და მიწოლ-მოწოლისას უცებ ერთი ისეთი ფრაზა ჩამივარდა თვალში, რომლის მხატვრული ძალმოსილებისაგან ელვისებურად ჯეკ ლონდონის ლიტერატურულ სამყაროში გადავიტყორცნე და უმალ დავემსგავსე კლონდაიკის უკაცრიელ, პირქუშ ხევხუვებში შეხვეწილ ბარ-წერაქვიან ოქროს მაძიებელს, ცამოწმენდილზე თვითნაბადი ოქროს მარცვლების ძარღვი რომ იპოვა!!!

რომანის მთავარი პერსონაჟი, ნოდარი წიგნის 85-ე გვერდზე აი, რას ამბობს;

„– ეს წვიმაც **მოცლილია,** რა!“

მოცლილი წვიმა! – რით არ არის ეს შედარება იშვიათი მხატვრული მარგალიტი?! ხოლო თუ ამგვარი შედარება ვაჟა ჩორდელზე ადრე სხვას ჰქონდა ნათქვამი, მან კი მხოლოდ გაიმეორა ანდა არც მას სმენოდა და მისგან დამოუკიდებლად გვაუწყა, მე კი პირველად ახლა წავაწყდი, ეს ჩემს გულწრფელობას მაინც ვერაფერს დააკლებს, ვინაიდან ჩემი აღტაცება პირველ რიგში ეკუთვნის ჯერ თვით ფრაზის ჰომეროსისებურ მხატვრულობას, მერე კი ავტორ(ებ)ს!

როგორც კი გამოვედი მეტროდან, ერთი სული მქონდა, შინ რაც შეიძლება მალე მივსულიყავი და ცინცხალი შთაბეჭდილებითვე დამეწერა ეს პატარა წერილი, რათა მერე უფრო გავრცობილი სახე არ მიეღო ანდა რაღაც მოსაწყენი ქრესტომათიულობის პრეტენზია არ გასჩენოდა!

ახლა კი თვით **წვიმას** მივხედოთ!

წვიმის რაღანაირი ეპითეტი არ მოგვეპოვება ქართულ ენაში: შხაპუნა წვიმა, ჟუჟუნა წვიმა, თავსხმა, თქეში, მერეხი, დელგმა, კოკისპირული, ნამი, თქორი და მრავალი სხვა! ერთი სიტყვით, ხალხურ მეტყველებაში წვიმის ყველა სახეობას გამონახული აქვს ზედგამოჭრილი შესატყვისი! ხოლო თუ საკითხი, ვთქვათ, ჩოხადამპალას* ან ღვარცოფს არ ეხება, ნათესულობას რომ ჩამოლექავს ხოლმე, ქართველ კაცს – განსაკუთრებით კი აღმოსავლეთ საქართველოში, საცა ხშირია ხმელარობა** – სანატრელი აქვს გაწვიმება და ენით აუწერელ სიამოვნებას ჰგვრის მადლიანად დაწვიმული ბაღ-ვენახებისა და საძოვრების ცქერა!



ქართულ ენას არც გადაბმული წვიმების გამომხატველი ეპითეტების ნაკლებობა ესაყვედურება: ცა ძირს მოიდგამს... ცამ პირი მოიხსნა... ცამ ფეხები ჩამოკიდა... ღრუბელთა წინამძღვარი*** როდის შეგვიბრალებს... ამდენმა წვიმებმა გული გააწყალა (ნაღველი გაასივა...)... როდემდე უნდა იტიროს – ნეტავი ვინ მოუკვდა და ა.შ. მაგრამ აქამდე ვის გაეგონა, რანაირად შეიძლება წვიმა **მოცლილი** ან **მოუცლელი** იყოს?! კარგი და, წვიმა წვიმის დროს თუ მართლა **„მოცლილია“**, მაშინ **„მოუცლელად“** როდისღა უნდა მივიჩნიოთ?! წვიმის მიმართ ამგვარი ეპითეტების მიკერება ხომ შეუსაბამო და წარმოუდგენელია!

ვაჟა ჩორდელის მხატვრულმა ნიჭიერებამაც სწორედ აქ იელვა მესხისა თუ მესის ფანტასტიკური ფინტივით! მან თავისი გმირის აზროვნება და წარმოდგენა სასოფლო-სამეურნეო კულტურების სანატრელი უხვმოსავლიანობის, ნაგვიანი დაბა-ქალაქების უფასო გარეცხვამდე თუ ჰაერის საამო გაგრილების ტრადიციულ-ტრაფარეტულ პათეტიკამდე კი არ ჩამოაქვეითა, არამედ გადაბმული წვიმის ამგვარი შეფასება პერსონაჟის იმუამინდელი სულიერი განწყობილების გადმოცემის უბრწყინვალეს ხერხად გამოიგონა!!!

სათხრობის ვითარება აშკარად მიგვანიშნებს: ეს წვიმა თავის საფიქრალში გადაკარგულ ინტელექტუალური ჭკუაგონების ნოდარს ფიზიკურად შეიძლება ხელს არც არაფერში უშლიდა, მაგრამ ნალექის გადაბმული დენა, ეტყობა, იმხელად ისეთი შეუხამებელი გახდა მისი დაძაბული განცდებისათვის, რომ ბუნების ეს ერთ-ერთი ყველაზე ლირიკული მოვლენა და თანაც მსოფლიო პოეტების მარადიული მუზა, **წვიმა** პირადი საფიქრალ-საზრუნავით შთანთქმული პერსონაჟის წარმოდგენაში უცებ თავისთავად გამოიკვეთა, როგორც **„მოცლილი“**.

ამ ბოლო სიტყვამ ჩემზე პირდაპირ მაგიურად იმოქმედა, რადგან მაშინვე წარმომადგენინა მოქუფრულ-მოშავბნელებული ცა... ბურუსში ჩაკარგული ჰორიზონტი... უიმედო გამოდარება... თანაბრად მნამავი, **„მოცლილი“** წვიმისგან ჩამოღეჭილი ღრუბლები... გუნებაწამხდარი ნოდარი...

საოცარი ოსტატობით მიგნებული, თანაც ზუსტად თავის დროსა და ადგილას „ჩალურსმული“ ამ ერთადერთი სიტყვით ავტორმა ორი კურდღელი მოინადირა: ნოდარის იმწუთიერი დაუფარავი გუნება-განწყობილება ხომ კალმის ერთი მოსმით დაგვიხატა და თან **„მოცლილ“** წვიმასაც სული შთაბერა, მკითხველის თვალსა და ხელს შუა გააადამიანურა!

მართლაც, „მოცლილი“ წვიმა აქ ემსგავსება ცის ბინადარ მეოცნებე ქალწულს, გული რომ გასწყალებია დატიკულ ღრუბლებში ამდენი ხნით უქმად ყოფნით და მაცდურ სურვილებს აჰყოლია – ძირს დაშვებულიყო დედამიწის ასახავერდებლად და იქაურ ბინადართა გასაცნობად!!! მაგრამ უყურეთ ადამიანთა უმადურობას – გულთბილი დახვედრისა და მადლობის მაგიერ **„მოცლილად“** მონათლეს! ჰმ! აი, თურმე როგორები ყოფილან ეს პლანეტელები! მოდი და ამის შემდეგ...

ეს ერთადერთი სიტყვა ამ სცენას კომიკურ სევდიანობასაც ანიჭებს: დედამიწაზე ცით მოვლენილი ეს წვიმა-ქალწული და ჩვენი თანამოძმე ნოდარი ერთმანეთს გაკვირვებით მიშტერებიან, ერთმანეთისა კი არაფერი ესმით!!! ეს კი ორი პერსონაჟის ურთიერთობას სცილდება და ბევრს როგორც უნდა გაუკვირდეს, ზოგადკაცობრიულ მასშტაბებში გადადის!

რას ვიზამთ, ასეთები ვართ ადამიანები – პირველ რიგში მხოლოდ საკუთარი საზრუნავით, ვნებებით, მისწრაფებებითა და საფიქრალით ვართ თავდავიწყებულნი, რის გამოც ზოგჯერ ან ხშირად ამა თუ იმ მოვლენას აღვიქვამთ არა სწორედ ისეთად, როგორიც იგი სინამდვილეშია, არამედ როგორც ჩვენ გვეჩვენება, გვგონია, ანდა გვსურს, რომ იყოს!.. აქ ვიღას დავუმალოთ: სხვის თვალში ბეწვს ვპოულობთ ხოლმე, საკუთარ თვალში დირესაც ვერა!!! ხოლო ელდიან თვალახელას მერეღა მოსდევს თავცემა, ცხვირში ამოკვრა, თითზე კბენა, ტუჩის მოკვნეტა, სევდა-სინანული, ვიშვიში და საკუთარ თავთან ფიცის დადება – მორჩა, დღეის ამას იქით სხვების მიმართ უფრო გულისყურიანი ვიქნებითო!..

მოკლედ, ასე მიტბორავს ჩვენი ცხოვრება!.. „მოცლილ“ წვიმას უსაფუძვლოდ მომდურებული ეს ნოდარიც ჩვენი სისხლხორცეული თანამოძმეა და, ალბათ, ბევრი ჩვენთაგანის პროტოტიპიც!..

აი, სადამდე მიგვიყვანა **ვაჟა ჩორდელის** რომანის ერთადერთმა სიტყვამ!

ჯემალ მეხრიშვილი

---

* *ჩოხადამპალა (იმერ.) – ივნისის მეტსახელი (ხშირი წვიმების გამო).*

** *ხმელარობა – მშრალი (უწვიმო, უთოვლო...) ამინდები.*

*** *ღრუბელთა წინამძღვარი – ცრურწ. ამინდის ღვთაების – ელია წინასწარმეტყველის ეპითეტი.*

სულიერება

თეოდორე ტირონი – დიდმოწამე

2 მარტს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია ისსენიებს მთავარმოწამე თეოდორე ტირონს, რომელსაც იმპერატორ გალერის მეფობის დროს მოსთხოვეს მსხვერპლშეწირვა კერპებისთვის, რაზეც მან უარი განაცხადა, ამისთვის იგი აწამეს.

თეოდორე ტირონის წამებიდან 50 წლის შემდეგ იმპერატორმა იულიანე განდგომილმა კონსტანტინოპოლის ქალაქისთავს უბრძანა დიდმარხვის დროს მთელი სურსათ-სანოვაგე კერპებისადმი შეწირული საკლავის სისხლით შეეზავებინათ. წმინდა თეოდორე ევდოქსი არქიეპისკოპოსს სიზმარში მოევლინა და დაავალა, გაეფრთხილებინა ქრისტიანები, რომ იმ დღეს ბაზარში არაფერი ეყიდათ და მხოლოდ კოლიო ექამათ (მოხარშული სორბალი თაფლით).

* * *

2 მარტს მიცვალებულთა ხსენების დღეა.

* * *

საშინელი სამსჯავრო

3 მარტს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია ისსენიებს საშინელ სამსჯავროს, რომელსაც მოაწყობს იესო ქრისტე მეორედ მოსვლის დროს.

სახარების სიტყვებით „არცაღა მამაი სჯის არავის, არამედ ყოველი სასჯელი მოსცა ძესა... და ხელმწიფებაი მოსცა მას საშჯელისაცა ყოფად, რამეთუ ძე კაცისაი არს“... „რაჟამს მოვიდეს საყდართა ზედა დიდებისა თვისისათა... და შეკრიბნეს რჩეულნი მისნი ოთხთაგან ქართა კიდითგან ცათაით, ვიდრე კიდემდე მათა“.

აღსანიშნავია ისიც, რომ მოციქულთა მოძღვრებით „ჩვენ ყოველნი განცხადებად ვართ წინაშე საყდართა ქრისტესთა, რაითა მოიღოს კაცად-კაცადმან ხორცთა მათგან, რაიცა იგი ქმნა, გინა თუ ბოროტი“. ღმერთი დასჯის „მოქმედსა ბოროტისასა, ჰურიათა პირველად და მერმე წარმართსა“.

იესო ქრისტეს მიერ განისჯებიან ცოცხლები და მკვდრები, აგრეთვე ბოროტი ანგელოზები და „ყოველი სიტყვა უქმი, რომელსა იტყოდიან კაცნი, მისცენ სიტყვაი მისთვის დღესა მას სასჯელისასა.

მსაჯული მართალთ ეტყვის: „მოვედით კურთხეულნო მამისა ჩემისანო, და დაიმკვიდრეთ, განზადებული თქვენთვის სასუფეველი დასაბამითგან სოფლისაით, ხოლო ცოდვილები მოისმინენ ასეთ განაჩენს: „წარვედით ჩემგან, წყეულნო ცეცხლსა მას საუკუნესა, რომელი განმზადებულ არს ეშმაკისთვის და მსახურთა მისთა“.

გიული ლიპარტია



ᲣᲬᲧᲕᲔᲢᲘᲐ ᲒᲐᲠᲓᲐᲮᲓᲘᲚᲖᲔ ᲡᲔᲕᲓᲐ

რა უჩუმრად აიკრიფა ნისლი,
სუნთქვა მისი არსაიდან ისმის; —
შრიალებდა ფაზისს ბზა და ისლი
კოლხთა ბგერის მარადიულ ხმისთვის!
ისაკლისებს ჩავლილ წარსულს ხსოვნა,
გამქრალია იაზონის კვალი,
ჩამეწყრილა პირატების ხროვა —
ოდითგანვე ჩვენი გულსაკლავი!
აქ, იდუმალ სილურჯეთა წიაღ
თაფლისფერი აღსარება წვეთავს;
მეტყველია ცის სიმუნჯე ღია,
ეს რას ნიშნავს,
კარგად უწყის ღმერთმა!
ეჰ, რამდენი წაშლილია კვალი,
გაწყვეტილა მახსოვრობის რკალი,
ისევ, ალბათ, იმედები ხვალის
არის ფიქრი — დიდი წინაპარი!
არ გამწყდარა არიადნას ძაფი,
დართულია ვარსკვლავებსა ზედა;
ევქსინის მკერდზე ეგ ტალღები მძაფრი,
ჰგავს ბობოქარ საროდეო ზერდაგს,
იმ წარსულის გარდახდილზე ოხვრით
უწყვეტია ჩემი ტომის სევდა!

ᲒᲖᲘᲡ ᲓᲐᲛᲚᲝᲪᲕᲔᲚᲘ ᲩᲔᲛᲘ ᲛᲮᲐᲢᲕᲐᲠᲘ

ვითარც კოლხური მიწის ფერმწერი
მიდამოს ხატავს ზედა ეწერი,
მიღმურ სამყაროს როცა ვეწვევი —
მე თან წამყვება ტრფობა ეწერის!
ამქვეყნიურის
მიღმურზე გაცვლა
ჩემში დღეს ბადებს უცნაურ განცდას!

სულ სხვას ნიშნავდა
იქ აკვნის რწევა
და რაც მარგუნა ზედა ეწერმა;
ჩემი გზა-კვალი
თუ ბედისწერა
ეს მან მომმადლა,
ღვთით დამაწერა!

ᲓᲘᲚᲐᲠ ᲘᲕᲐᲠᲓᲐᲕᲐ

ᲪᲠᲔᲛᲚᲘᲐᲜᲘ ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲔᲑᲘ

ᲘᲝᲠᲓᲐᲜᲔᲡᲗᲐᲜ

იორდანეში ტანგაბანილი,
ქრისტეს მცნებებით ახლა მარები;
ივერთ მიწიდან კრძალვით გზავნილი —
მოვინახულე აქ საძვალენი!
და ავისრულე გულში ჩათქმული —
უფლის ქვეყანას ვეწვიე ლოცვით,
აქაც ვიგრძენი ფესვი ქართული —
სულის ზეობა და არა ხორცის!
აქ ხომ იღვწოდნენ წმინდა მამები,
მათ ნაკვალევზე ვაზი ტირისა,
მიტევების და ქრისტეს წამების
ჩანგები ჟღერენ პალესტინისა!
იორდანეში ვარ განბანილი,
ჩემს წინაპრებთან ნერვჩახლართული, —
თრთოლვად დამრჩება
მზის ანბანივით
ის ჩემი გენი — მარად ქართულის!

2006 წელი, პალესტინა,
წყალკურთხევის დღე

ᲮᲕᲔᲓᲠᲘ ᲐᲠᲐᲙᲐᲪᲘᲡᲐ

ამ ერთხელ მაინც იყუჩე წიე,
ფაკელად ნუ, ნუ მოედინები,
კაცობის ჯვარი რომ ვერ ასწიე
ენის გატრუნვა მაინც ინებე!

შენი ცხოვრების გაჩხიბვა არ ღირს,
იყო და რჩები ბოლომდის ფარსი,
ისე, იყავი ნამდვილი ნაღმი
და ყველაფერში მრუდე და თარსი!

განა სინდისსაც იყიდის კაცი,
ის დაბადებით ღვთის შვილს არგუნეს;
დღეს კი სამყაროს მისაგან დაცლილს
ეშმათა გუნდი დაესადგურა!

ძალზე მძიმეა ჯვარის ტარება
ვთქვათ და... თავქვეზეც როს დაეშვები;
და არც აცდება ეშმაც წამებას
პირველყოფილი მფატრავ ეშვებით!

ᲗᲣ ᲐᲠ ᲓᲐᲕᲣᲠᲩᲘᲗ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲡ ᲕᲐᲚᲨᲘ

ᲐᲤᲮᲐᲖ ᲞᲝᲔᲢᲔᲑᲡ

სიმებით ჩანგის
და... არა დაშნით —
თუკი გულების
აღვადგენთ კავშირს,
ეგ მრუმე ღრუბლებს
გააქრობს დაშლის,
როგორც თბილისი,
ისე სოხუმიც
შეგვხვდება ტაშით,
კვლავ ავაყვავებთ,
კვლავ ავამწვანებთ
ტყვიით და ცეცხლით
გადამწვარ ტაშირს!
ერთხმაზე ძმურად
ვიმღერებთ მაშინ,
არ დავურჩებით
თუ ტრფობას ვალში!

ᲘᲡ ᲑᲝᲚᲝᲛᲓᲔ ᲛᲐᲩᲐᲜᲐᲒᲔᲑᲡ

გადამთელა შურმა, მტრობამ,
დღის ომებმა;
მარტო ჩემთვის მოიცალეს — გეგონება!
დამებედა შეცდომათა გაორება,
ამას ახლავს
ძალზე მწარე შეგონება!
პირთამდეა ავსებული თმენის თასი,
ვერ გავიგე, აქ მოსვლით რა დავაშავე,
ჯალათივით თავზე მადგას ყოფა მკაცრი,
სულ ერთიან სავალი გზაც წამიშალეს!
გადაცდომა უბრალოდ არ მაპატიეს,
უბედობამ ჩამიფუძნა სევდა სწორედ,
ის მიშლიდა მდინარეში შეკრულ ტივებს,
მახეთქებდა უსაშველოდ ჩაშლილ მორებს!
დღემდე მაინც ამ ყველაფერს გავუძელი,
მაგრამ სიტკბო ჩემთვის არვის არ ეთმობა
ასე ყოფა არყოფნაზე არის ძნელი,
ისევ ეშმა ჩემი ბედით რად ერთობა?!

ᲘᲡᲔᲕ ᲢᲙᲘᲕᲘᲚᲨᲘ ᲕᲐᲠ ᲩᲐᲫᲘᲠᲣᲚᲘ

ატმის რტოებზე შენთებულა
ბრდღვიალა ცეცხლი,
აპრილის დღეებს ფუტკრის გუნდი
ვინ შეუსია?!
დღიდან გაჩენის ვერ დავთვალე
იმდენჯერ შევცდი
და ბოლოს მაინც ვერ გავიგნე,
სად მყავს მესია!
ამ გაზაფხულის კარიბჭესთან მდუმარი
ვდგავარ,
და არკი მახსოვს თუ რამდენი
ტანჯვის დღე მერგო,
თუ ვარ ცოცხალი, მე მაცოცხლებს
კოლხური ჰავა,
მზის დასავალთან რომ წააგავს
ოქროსფერ ენდროს!
ეზოებში კი კოინდარის
შრიალი ბედობს,
აქ ჩახრიალებს ხმა მუსიკის
მოსდგამდა ერთ დროს;
ცისარტყელობდნენ რუხის ჩქერში
ვერცხლის თევზები,
წინაპრის ჩემის ნაკვალევზე
ოქროს ვეძებდი;
სულში გაფოთვლა
აქ ვიგრძენი უკვდავი ვაზის,
მედეას ტკივილს სალბუნს ფენდნენ
პონტოს ტალღები,
ძველი ბერძნები აწყდებოდნენ
კავკასიიდან პონტოს ზღვამდე
გაწოლილ ფაზისს,
როგორც საკუთარ სახლის კარებს,
ისე აღებდნენ!
ვფურცლავ წიგნივით
უძველესი ტომის განვლილ გზას,
მოზარნიშებულს ვერცხლისა და
ოქროს სევადით;
სადარდებელი ღრუბელივით
კვლავ მეხვევა გარს,
პალიასტომში შეცდომები
მძირავს ყელამდის!

ᲮᲛᲐ ᲒᲐᲛᲔᲪᲘ, ᲪᲘᲠᲐ...

ცირ!
ცირ! —
ხმა გამეცი ცირა!
სული ჩემი ხავის;
კიდეც მცხელა,
კიდეც მცივა!
დღე გამიხდა უსაშველო მღვიმე,
არვინ მაძლევს სულ პაწია იმედს,
მძიმე-მძიმედ
დარდში ჩავიძირე! —
ეს ამქვეყნად თუ ადარდებს ვინმეს?!
ცირა, ცირა!
ყველაფერი ბნელში ჩამეკირა!

ᲪᲠᲔᲛᲚᲘᲐᲜᲘ ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲔᲑᲘ

ვაჟკაცსა ცრემლს რად უძრახვენ?
რკინაც სტყდება, როს სცემს გრდემლი...
კაცთ და პირუტყვთ გასარჩევად
ღმერთმა შექმნა მარტო ცრემლი...

ᲘᲚᲘᲐ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲔ

სისინებდნენ... ისისინეს გველებმა,
ჭიხვინებდნენ... იჭიხვინეს ცხენებმა;
ნათელი გზით სიარული გვენება,
დაგვაბერტყეს თავზე ციებ-ცხელება.
დაცავლეწეთ სიბრძნე-ჭკუის სასწორი,
ვერ გავწიეთ თოკი გადასაგრეხი,
მსწრაფლ გავწირეთ ქვრივ-ოხერთა პატრონი,
ხრამს ვარგუნეთ ხვალის გადასახედი!

უვიცები ვითომ სიბრძნეს აფრქვევდნენ,
ნათელ ტაძრებს დავუგმანეთ კარები;
ანაკონდას სამოთხის ჩიტს ვარქმევდით,
უარვყავით წინაპრის ნაკვალევი!

გზა დავუთმეთ ცირკის წყეულ ჯამბაზებს,
დავისიეთ პარაზიტნი, მკბენარნი,
და თუკი დღეს
ის წარსული გვაბრაზებს
დაგვიანდა უკვე თითზე კბენანი!

მაგრამ ერთხელ არეულიც ლაგდება,
იქნებ ჩვენაც დაგვიბრუნდეს ზეობა,
ველოდებით დღეთა იმ დაბადებას,
რომელსაც დღეს ჩავთვლით
ღვთის მიმღეობად!

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ 12 ᲓᲐᲪᲣᲚᲘ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐ ᲒᲐᲔᲠᲝᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲘᲗ ᲓᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲓᲔᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ 12 დაცული ტერიტორია მიიღებს მრავალმხრივ დახმარებას გაეროს განვითარების პროგრამისგან და გლობალური გარემოსდაცვითი ფონდისგან, რომელიც დაცული ტერიტორიების ფინანსური მდგრადობის გამყარებას და საქართველოს უნიკალური ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას მოხმარდება.

ხუთწლიანი პროგრამა, რომლის სრული ბიუჯეტი 10 მილიონ აშშ დოლარს აღწევს, კავკასიის ბუნების ფონდისა და დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ განხორციელდება.

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი ტექნიკური და საკონსულტაციო დახმარება შემდეგ 12 დაცულ ტერიტორიას მოიცავს: ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი, ლაგოდეხის დაცული ტერიტორიები, ვაშლოვანის დაცული ტერიტორიები, თუშეთის დაცული ტერიტორიები, თუშეთის დაცული ლანდშაფტი, მტირალას ეროვნული პარკი, ჯავახეთის ეროვნული პარკი, ყაზბეგის ეროვნული პარკი, ალგეთის ეროვნული პარკი, კინტრიშის დაცული ტერიტორიები, მაჭახელას ეროვნული პარკი და ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიები. საქართველოს დაცული ტერიტორიების სააგენტოს, გაეროს განვითარების პროგრამის, გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის, კავკასიის ბუნების ფონდისა და საქართველოს ბანკის ერთობლივი პროგრამა 2023 წლამდე გაგრძელდება. პროგრამის ბიუჯეტში გაერთიანებულია გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის გრანტი (1.8 მილიონი აშშ დოლარი), საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს თანადაფინანსება (4.8 მილიონი აშშ დოლარი), კავკასიის ბუნების ფონდის წილი (3.1 მილიონი აშშ დოლარი) და საქართველოს ბანკის წილი (200,000 აშშ დოლარი).

„გაზპრომში“ მგლები არიან!..

რას ითხოვს საქართველო რუსული გიგანტისგან

რამდენიმე დღეში „გაზპრომთან“ ახალი მოლაპარაკება უნდა დაიწყოს, რომელსაც ქვეყნის ენერგოუსაფრთხოების მიმართულებით თავისებური მნიშვნელობა ენიჭება. საქართველოსთვის პრინციპულია, რომ ჩრდილოელ მეზობელთან ხელსაყრელი პირობები შეათანხმოს და მუდმივად რუსეთის პირობებზე არ დათანხმდეს. ყველა თანხმდება, რომ ეს იოლი არ იქნება.

უმრავლესობის წევრის, ენერგეტიკოს რევაზ არველაძის განცხადებით, იგი მთავრობის წარმომადგენლებს ესაუბრა იმის თაობაზე, რომ საქართველოს დელეგაცია სათანადოდ მომზადებული შეხვედროდა „გაზპრომის“ ხელმძღვანელობას ახალი ხელშეკრულების პირობების შესათანხმებლად.

„ახლაც მქონდა საუბარი, სანამ დეკემბერი მოვიდოდა, რომ კარგია, დროულად მოემზადონ და ისე შეხვდნენ „გაზპრომის წარმომადგენლებს“. მილერი, მოადგილეებიც და დეპარტამენტებიც, რომ იტყვიან ხოლმე, მგლები არიან და აქედანაც მგელი თუ არ წავიდა, იმას ვერაფრით მოუგებ მსჯელობაში, არგუმენტებში და ა.შ.

არ ვიცი, საბოლოოდ გადაწყვეტილი რა არის, თუმცა მე მიმაჩნია, რომ ის გატარების საფასური ორი მდგენელისგან უნდა შედგებოდეს. პირველი მდგენელი ის უნდა იყოს, რომ ამ გაზსადენის საექსპლუატაციო ხარჯები მთლიანად თავის თავზე უნდა აიღოს „გაზპრომმა“, რადგან ეს მილსადენი პრაქტიკულად მხოლოდ, სომხეთისთვის გაზის მისაწოდებლად არის. ყაზბეგის რაიონში, რაც მოხმარებაა, ის არის მიზერული. მეორე მდგენელი უნდა იყოს გატარების საფასური, რომ ვაძლევთ უფლებას, ჩვენს მილში გაატარონ გაზი“, — აღნიშნავს „ბიემთან“ არველაძე.

„გაზპრომსა“ და საქართველოს მთავრობას შორის რუსეთიდან სომხეთში ბუნებრივი გაზის ტრანზიტის პირობებზე ახალი ხელშეკრულება ძალიან მალე უნდა გაფორმდეს, რადგან მხარეებს შორის კონტრაქტს ვადა გასული წლის ბოლოს გაუვიდა.

ამასობაში ნავთობისა და გაზის კორპორაცია დამაფიქრებელ პროგნოზს აკეთებს, რომლის მიხედვითაც, 2030 წელს საქართველოში ბუნებრივი აირის წლიურმა მოხმარებამ შესაძლოა, 3,5 მლრდ კუბმეტრს გადააჭარბოს. ეს ნიშნავს, რომ გაზის მოხმარება ქვეყანაში 50%-ით გაიზრდება. მოთხოვნა სწრაფად იზრდება, მომწოდებელი კი მხოლოდ ერთია. სწორედ ამიტომ საქართველოს ეკონომიკის მინისტრი გიორგი ქობულია აცხადებს, რომ საქართველოში ბუნებრივი აირი მონოპოლიურად მხოლოდ აზერბაიჯანიდან არ უნდა შემოდიოდეს და ქვეყანამ „ცოტა გაზი“ რუსეთიდანაც უნდა იყიდოს.

„ჩვენ ენერგოუსაფრთხოებისა და ენერგოდამოუკიდებლობის ფარგლებში, ზოგჯერ ცოტა მეტი გაზი რომ მივიღოთ რუსეთიდან, შეიძლება, შევქმნათ დივერსიფიკაცია საქართველოს ბაზარზე. არ უნდა იყოს მონოპოლიური მდგომარეობა და ერთადერთი მომწოდებელი აზერბაიჯანი, არამედ იყოს აზერბაიჯანი და ცოტა გაზი მივიღოთ რუსეთიდანაც. ამისგან ჩვენი მოსახლეობა და ჩვენი კომპანიები, ბიზნესი მიიღებენ ძალიან დიდ სარგებელს იმიტომ, რომ გაჩნდება მინიმალური კონკურენცია და, რა თქმა უნდა, ეს იმოქმედებს ფასზეც“, — განაცხადა ქობულიამ. „გაზპრომთან“ მოლაპარაკებები 2-3 კვირაში დასრულდება. მინისტრის ინფორმაციით, საკითხი ეხება გაზის შესყიდვისა და ტრანსპორტირების ტარიფებს.

„გაზპრომთან“ ახალი ტიპის კონტრაქტი 2017 წელს გაფორმდა. ხელშეკრულების პირობები საიდუმლოა, თუმცა ცნობილია, რომ ის 2017 წელს მაგისტრალური გაზსადენით გატარებული ბუნებრივი აირის შერეული წესით (ნატურითა და ფულით) ანაზღაურებას, 2018 წლიდან კი მხოლოდ ფულად ანაზღაურებაზე გადასვლას ითვალისწინებდა.

გეძა დანელია

როგორ აჯობა საქართველომ აზერბაიჯანს

ტურიზმი **აზერბაიჯანული ჟურნალისტიკისთვის არაა ჩვეული თემა — ძირითადად ყველა წერს პოლიტიკაზე, თუმცა, როდესაც პოლიტიკა ჭარბობს, ყველაფერი დანარჩენიც ხდება პოლიტიკა..**

იმის გააზრება, რომ ტურიზმის განვითარება ძალიან მნიშვნელოვანია ქვეყნისთვის, ბაქოს მაღალ კაბინეტებში ჯერ კიდევ 2001 წელს მოვიდა, როდესაც ახალგაზრდობის და სპორტის სამინისტროს დაუმატეს ტურიზმის სფერო.

5 წლის შემდეგ ეკონომიკის ამ სფეროს განვითარება დაევალა კულტურის სამინისტროს და ბოლოს, 1 წლის წინ შეიქმნა ტურიზმის სახელმწიფო სააგენტო.

„დაავადებულმა“ მძიმედ გადაიტანა ასეთი რთული ადმინისტრაციული ოპერაციები და თუ რატომაა ტურიზმი აზერბაიჯანში „დაავადებული“, გასაგები იქნება, თუ დაუკვირდებით ციფრებს.

მაშ ასე, ციფრები! არცთუ ისე დიდი ხნის წინ, ერთ-ერთმა აზერბაიჯანელმა მაღალჩინოსანმა ასე დააყენა საკითხი: „რა არის ცუდი იმაში, რომ 2018 წელს ქვეყანაში ჩამოვიდა 3 მლნ ტურისტი და დახარჯეს 2 მლრდ დოლარი?“..

მართლაც, არაფერი ცუდი ამაში არაა, თუმცა, კარგია თუ ცუდი მოსავალი, ვერ გაიგებ, სანამ მეზობლების ბოსტანში არ ჩაიხედავ.

შორს არ წავალთ, შემოვიფარგლებით ჩვენი რეგიონით, ანუ სამხრეთ კავკასიით. ათვლის წერტილად კი ავიღოთ ამ ათწლეულის დასაწყისი.

2010 წელს სომხეთს ეწვია 678 000 ტურისტი, მათ დახარჯეს 408 მლნ დოლარი, აზერბაიჯანში — 1,8 მლნ, შემოსავალი 814 მლნ, საქართველოში — 2 მლნ, შემოსავალი 695 მლნ დოლარი.

2018 წელს სომხეთში ჩამოვიდა 1,6 მლნ ტურისტი (შემოსავალი 1,1 მლრდ დოლარი), აზერბაიჯანში — 2,9 მლნ (შემოსავალი 2 მლრდ დოლარი), საქართველოში — 8,6 მლნ (შემოსავალი 3,2 მლრდ დოლარი).

სომხეთი ამ სიაში აუტსაიდერია და ეს ხდება არა იმიტომ, რომ მას არ გააჩნია გასასვლელი ზღვაზე. ქვეყანას აქვს ძალიან ბევრი ღირსშესანიშნაობა, რომელიც შესაძლებელია საინტერესო იყოს უცხოელებისთვის. ამ ვითარების მიზეზი უფრო არის რთული ურთიერთობები 3-დან 2 მეზობელ ქვეყანასთან, თუმცა, აღსანიშნავია, რომ ამ სიტუაციაშიც კი, სომხეთს აქვს უფრო შესამჩნევი ზრდა, ვიდრე აზერბაიჯანს — შემოსავლების კუთხით 2,7-ჯერ (აზერბაიჯანს 2,5-ჯერ), ჩამომსვლელების რაოდენობის თვალსაზრისით კი — 2,4-ჯერ (1,6-ჯერ).

აი, საქართველო კი საოცრებებს აკეთებს — 8 წლის მანძილზე ქვეყანაში ტურისტული შემოსავლები გაიზარდა 5-ჯერ, ხოლო 2018 წელმა მას რეკორდული „მოსავალი“ მოუტანა — 3,2 მლრდ დოლარი. წარმოიდგინეთ, რას ნიშნავს 3,2 მლრდ დოლარი ქვეყნისთვის, რომლის ბიუჯეტი არ აღემატება 5 მლრდ დოლარს.

დასაწყისში, 8 წლის წინ, საქართველო და აზერბაიჯანი იყვნენ სრულიად თანაბარ სასტარტო პირობებში, დღეს კი საქართველო აზერბაიჯანს 3-ჯერ უსწრებს.

სხვათა შორის, თავად აზერბაიჯანელებს პირველი ადგილი უკავიათ მეზობელ ქვეყანაში ჩასულ სტუმრებს შორის — 1,4 მლნ ადამიანი წელიწადში!!

„რას იზამ, ის მაინც არის კარგი, რომ ასე თუ ისე წინ მივდივართ და არ ვდგავართ ერთ ადგილზე“. თუმცა არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი — ვის ხარჯზე იზრდება ტურისტული ინდუსტრია და რომელი ქვეყნებიდან ჩამოდიან სტუმრები.

ამ მხრივ, როდესაც ადარებ აზერბაიჯანს მეზობელ ქვეყნებს — ოპტიმიზმის უეცარი შემოტევა უკვალოდ ქრება.

მაგალითად, სომხეთში იზრდება ტურისტების რაოდენობა ინდოეთიდან (131%), ჩინეთიდან (107%) და ყაზახეთიდან (83%). საქართველოში სულ უფრო ხშრად ჩამოდიან ტურისტები სამხრეთ კორეიდან (ზრდა 125%), ესტონეთიდან (85%), ჩინეთიდან (84%), რუმინეთიდან (654%), სლოვაკეთიდან (62%), ჰოლანდიიდან (59%), გერმანიიდან (51%), ესპანეთიდან (47%), ბელორუსიიდან (45%), ლატვიიდან (44%), ჩეხეთიდან (44%), საფრანგეთიდან (36%).

აზერბაიჯანში კი ძირითადი ზრდა მოდის სპარსეთის ყურის ქვეყნებზე — საუდის არაბეთზე (2,1-ჯერ), ქუვეიტზე (2-ჯერ), ყატარზე (2-ჯერ), ერაყზე (14,4%) და ომანზე (7.6%).

აი, სადამდე მივყავართ პასუხს ერთი შეხედვით მარტივ შეკითხვაზე — კარგია თუ არა 3 მლნ ტურისტი და 2 მლრდ დოლარი?

მაშინვე ჩნდება ახალი შეკითხვები — რატომ ვერ მოვაწესრიგეთ საქმე, რომლის კეთებითაც დაკავებულია 100 ხელი? თითქოს, ყველაფერი არის ამისთვის — ბრძანებულებები, კანონები, სამინისტროები, ტურიზმის ეროვნული ბიურო, თავისი რეგიონული ფილიალებით, ცალკე უნივერსიტეტი შესაბამისი კადრების მოსამზადებლად, ბოლოს და ბოლოს წარმატების მაგალითი აქვე, გვერდით, უახლოეს სამეზობლოში.

ინვესტიციებიც ბევრია, ტერიტორია და მოსახლეობის რაოდენობა მეზობლებზე დიდია, ქვეყანაში არის ათეულობით უნიკალური ქრისტიანული თუ მუსულმანური ძეგლი, კერპთაყვანისმცემლური სიწმინდეები, მეგობრული მოსახლეობა, ლაჟვარდოვანი ზღვა, ოქროს პლიაჟების ასობით კილომეტრი, 9 კლიმატური ზონა, ეროვნული ტყე-პარკები, მთები, ტბები, გეიზერები, ჩანჩქერები, ეთნომუზეუმები, თანამედროვე და ლამაზი ქალაქების გვერდით...

თუმცა, რაღაც გვაკლია. აშკარად გვაკლია. როგორ ფიქრობთ, რა?

Zerkalo.az

„ბელარუსი რუსეთისთვის მუქთამჭამელი არასოდეს ყოფილა ... მე, როგორც თავმოყვარე ადამიანს, აღარანაირი კავშირები აღარ მინდა“

— ამის შესახებ ბელარუსის პრეზიდენტმა ალექსანდრ ლუკაშენკომ საზღვარგარეთის მედიასთან შეხვედრის დროს განაცხადა.

„შეწყვიტეთ ჩვენი დადანაშაულება მუქთამჭამელობაში. ჩვენ არასდროს ვყოფილვართ და არც ვიქნებით. როდესაც ხალხი ამას ისმენს, განსაკუთრებით კი მე, როგორც თავმოყვარე ადამიანს, აღარანაირი კავშირები აღარ მინდა.“ — განაცხადა ლუკაშენკომ.

ბელარუსის ლიდერს არ დაუკონკრეტებია, თუმცა ის სავარაუდოდ ევრაზიულ კავშირს გულისხმობდა. რადგან საუბარი შეეხებოდა რუსეთის მიერ გამოყოფილ კრედიტებს, რომელსაც ლუკაშენკოს თქმით, ბელარუსი პირნათლად იხდის. ლუკაშენკომ აქცენტი იმაზე გააკეთა, რომ რუსეთი ბელარუსს კრედიტებს სხვა ქვეყნებთან შედარებით მაღალ პროცენტში აძლევს, დასავლელი „მტრები“ კი გაცილებით დაბალ პროცენტში იძლევიან.

ხელიდან გვიქრება დიდი ხნის ნალოლიავები იმედიც!..

ვიწყებ წერას და კარგს რომ ვერაფერს გეტყვით, ვდარდობ, განვიცდი ძალიან. ერთი ჩემი, ადრე ნათქვამი მაგონდება:

„იქნებ, მოვიკრიბოთ ნარჩენი ძალები,
ხომ ვხედავთ, ყველანი
ქარცეცხლში ვიწვებით,
ირევა ქვეყანა, აყეფდნენ ძაღლები,
გავრბივართ, და მაინც წინ ვეღარ
ვიწევით!“

მართლაც, ხან ცეცხლი და ხან წყალი, სულ სესხი და სულ ვალი, ვითომ მივდივართ და არ კი ვიცით საით! ვერ გავაღწიეთ სამშვიდობოს, ან რას გავაღწევთ, როდესაც გზა ვეღარ გვიპოვია. თუ ვიპოვეთ და მაშინვე ცეცხლს ვუკიდებთ, ჩვენსავე ნაშრომს ჩვენვე ვბუგავთ. მერე გამოვალთ და ყველა ჩვენს უბედურებას რუს პუტინს ვაბრალებთ, ამ ბოლო ხანებში კი პუტინს გვერდით ქართველი ივანიშვილი ამოვუყენეთ, თურმე იმის ბრალია ყველა ჩვენი უბედურება და უნიათობა, იმას რომ, ამდენი მილიონი არ დაეხარჯა საქართველოსთვის, არ აეშენებინა თუ გაერემონტებინა თეატრები, უნივერსიტეტები, არ ჩაედო ინვესტიციები ამა თუ იმ საქვეყნო საქმეში, არ გაეწია იმდენი ქველმოქმედება (რას ჩამოთვლი, რომელ ერთს...), მაშინ, უკეთ ვიქნებოდით. მე არ ვხუმრობ, რაღაც მართალს ჰგავს ეს ამბავი. ხომ გვახსოვს იაპონური (მგონი, იაპონური) ანდაზა: მშიერს თევზით კი არ უნდა გაუმასპინძლდე, არამედ თევზის ჭერა უნდა ასწავლოო! და მერე, გვასწავლა ივანიშვილმა თევზის ჭერა? – არა! თევზის ჭერა კი არადა, ვინმემ მოინდომა რაიმე სასიკეთო ესწავლებინა ჩვენთვის? იმის ნაცვლად, რომ ქარხნები, ფაბრიკები, საწარმოები აეშენებინათ და გაემართათ, რეგიონებში ხალხი დაესაქმებინათ, ადგილობრივი მრეწველობა განევითარებინათ, ვეებერთელა, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლები და სასტუმროარესტორნები აგვიშენეს დედაქალაქში (სხვათა შორის, ეს ყველაფერი ივანიშვილის პოლიტიკურ არენაზე გამოჩენამდე ხდებოდა) და რატომ? რაც შეიძლება მეტი უცხოელისთვის გაგვეჩინა ინტერესი აქ დარჩენისა და შეგვექმნა მათთვის საცხოვრებელი პირობები! (რა თქმა უნდა, მე და თქვენ არა, მკითხველო!), ამ გზით კი ვიღაც იქსებს, ადამიანებს, რა მნიშვნელობა აქვს რა რჯულისანთ, მეტი ფული ეშოვათ? დიახ, იშოვეს კიდეც, მდიდრები უფრო გამდიდრდნენ, ღარიბები კი – კიდევ უფრო გაღარიბდნენ, მათმა უმრავლესობამ თუ ეკლესიებთან, თუ რესტორნებთან, თუ ბანკებთან მონახეს ადგილი... იქ ელიან შემსვლელ-გამომსვლელთ, იქნებ ხუთკაპიკიანები გადმოგვიგდონო, ბევრი საზღვარგარეთ გაიქცა, მათხოვრობას ხომ ჯობსო და თავისი ტომისაგან თვალსმოფარებულნი, სხვათა ქალაქებში არ თაკილობენ სამარცხვინო საქმეებსაც კი. აი, ასე... დრომ რომ სიახლე მოგვიტანა, იმის შესაბამისად ახალი უნარ-ჩვევებისა და თევზის ჭერის მასწავლებელი, წინამძღოლი და ორგანიზატორი ის არ აღმოჩნდა, ვინც უნდა ყოფილიყო (მთავრობა, უთუოდ!) ანდა, როგორ აღმოჩნდებოდა, როცა ხალხზე და ქვეყანაზე ზრუნვის სურვილი და ინტერესი არ იყო. თუ რამ სიახლე, მეთოდი და ხერხი შეითვისეს ეკონომიკის ასაღორძინებლად, მხოლოდ საკუთარი ოჯახის წევრებისა და ნათესავ-ახლობლების სასარგებლოდ. აბა, გადავხედოთ, მთავრობაში მყოფთა თუ „გავლილთაგან“ვინმე თუა ღარიბი კი არა, თუნდაც საშუალოდ მცხოვრები, ყველა მდიდარია და მრავალსახლკარიანი. დღემდე ასეა, ასე უვლიან ხალხს და ქვეყანას ჩვენი რჩეულნი. მიუხედავად გაჭირვებისა და სიღარიბისა, რომ დავფიქრდები, მაინც ვერ ვეგუები ქართველისა თუ ზოგადად, ჩვენი მოქალაქეების მიმოფანტვას მთელს პლანეტაზე. სად, მსოფლიოს რომელ კუთხე-კუნჭულში არ ვნახავთ მათ და მრავლადაც.

იცით, რა მაკვირვებს? ქება-დიდებას რომ უძღვნის ჩვენი მთავრობა ასეთ გაქცეულებს, ემიგრანტებს რომ ვეძახით. ოჯახებს ინახავენო, ფული შემოაქვთო... და მატულობს და მატულობს ემიგრანტის სტატუსით გაქცეულთა რიცხვი, ქვეყნის ეკონომიკა თუ მატულობს, ეს არის საკითხავი, თორემ, ქართველი მოსახლეობის რიცხვი რომ მცირდება, ამას არ სჭირდება დიდი კვლევა და სტატისტიკა. არადა, მოსახლეობის გარეშე რომელი ქვეყანა აყვავებულა, სად და როდის? რატომ აუბა მხარი მთავრობამ (და ვიღაც-ვიღაცებმა) „ემიგრანტობანას“? რატომ არავინ არ იღვწის მათ შესაკავებლად? ჩვენ ხომ ჩინეთი არა ვართ, ანდა,

კიდევ სხვა მჭიდროდ დასახლებული დიდტერიტორიანი ქვეყანა, ასეულ მოქალაქეთა გადინება რომ არ დაგვეტყოს? გასაკვირია ყველაფერი ეს! რატომ ვერ ვპოულობთ გამოსავალს, ხომ ვხედავთ, როგორ ვმცირდებით და ვმცირდებით!

ბოლო ათი-თხუთმეტი წელია გარეგნულად, თბილისსა და აგერ-ეგერ ზოგიერთ ქალაქს სიღარიბე და სიდუხჭირე არ ეტყობათ, ანდა, როგორ დაეტყობათ ახალ-ახალი მშენებლობებით, ზღვა ავტომობილებით გზებდახშულ ქალაქებს, თუ მათხოვრების რიგს არ გადახედე ბანკებთან და რესტორნებთან, ან ბაზრებში არ შეიხედე... მაგრამ რეგიონებში, ჩვენს ულამაზეს კუთხეებში, საზღვრისპირა სოფლებში და ქალაქებში საძებნელი არაფერია, „ყვავის“ სიღარიბე და მასთან ერთად ყვავის უსამართლობა!..

მდიდრები მდიდრულად ცხოვრობენ და „სამართლიანადაც“, კარგ თანამდებობებზეც მდიდრები მოდიან (და მიდიან), ისიც საკითხავია, საქართველოში გამეფებული უმუშევრობის პირობებში ზოგიერს სამი-ოთხი თანამდებობა რომ უჭირავს, როგორ ასრულებენ დაკისრებულ ვალდებულებებს?! ეს კიდევ ცალკე თემაა. დიახ, ძალიან ბევრი თემა და საკითხი დაგვიგროვდა გასარკვევ-გასარჩევი, მაგრამ ვის და სად სცალია ამისთვის. დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობით დაკავებულ-დამძიმებულთ, სხვათა კულტურისა და განათლების ათვისებაში გართულთ, დრო სწრაფად გაურბით ხელიდან, არჩევნებიდან არჩევნებამდე მხოლოდ პირად გამდიდრებასა და სასწავლებლად შვილების საზღვარგარეთ გაგზავნას თუ ასწრებენ... საამაყოა ევროპულ კულტურაზე აღზრდა და განათლების მიღება. საუკუნეების მანძილზე ქართველთა ოცნებაც ეს იყო, მაგრამ განათლება უნდა მიიღო და შეინარჩუნო, შენივე კულტურით შეივსო და განავითარო შენივე მიწა-წყალზე, შენივე სკოლებში და უმაღლეს სასწავლებლებში იმ საგნებისა და დარგების შექმნითა და აღორძინებით, რაც გაუთანაბრდება ევროპული სკოლების პრესტიჟულ განათლებას და კულტურას. ჩვენთან კი რა ხდება? ევროპასა და ამერიკაში თითქმის გადასახლდნენ ჩვენი აღსაზრდელები.

ბევრ რამესთან ერთად ესეც მიკვირს – რატომ ჩაკვდა ხალხში ქართულ განათლებასა და კულტურაზე მოზარდთა აღზრდის მოთხოვნა? ათასობით ქართველი ბავშვი სწავლობს ახლა საზღვარგარეთ და ისწავლონ, მაგრამ დაბრუნდებიან კი იქიდან? ინტელექტუალები სხვაგან გარბიან და იქვე ფუძნდებიან, ვინ ააშენოს ჩვენი საქართველო, მაინცდამაინც ჩინელმა და არაბმა? მართლაც, ცოტანი ვრჩებით ქართველები ჩვენს მიწა-წყალზე და მაინც რომ ვერ ვეტევით, ჩხუბში და დავიდარაბაში მიდის ოქროს დრო! განა ეს სასწაული არ არის? სასწაულია ისიც, რომ ჯერჯერობით არც ერთი მთავრობა ხალხის ერთგული არ ყოფილა. სამართლიანობის აღსრულებას რომ დაგვპირდნენ, ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, მაგრამ რა რთული ყოფილა თურმე სამართლიანობის დამყარება. სამართლის მოხელეებმა ძალიან გვიმტყუნესო, ამბობენ. ამას ჩვენც ვხედავთ და ვხვდებით ცხოვრების ყოველ ნაბიჯზე, მაგრამ, ალბათ, ბედია ყველაფერი, სასამართლო სისტემაში კლანი ჩამოყალიბდაო, – ადასტურებს ქალბატონი ეკა ბესელია და მას რამდენიმე პარლამენტარიც მიემხრო. მათ, დღემდე ცნობილი, მუდმივ მოსამართლეებად დასამტკიცებელ ათკაციან სიას, უარი უთხრეს. არა მგონია, ეს უარი სათუო ყოფილიყო. საზოგადოების დიდ ნაწილს არც ის ჰგონია, რომ ლოგიკურად მოაზროვნე, პროფესიონალ ეკა ბესელიას მიერ წარდგენილი მოსამართლეთა დანიშვნის კანონის პროექტი საზიანო ყოფილიყო ჩვენი ქვეყნისთვის.

ხალხს გული წყდება... რომ ეს პარლამენტიც ვერ დგას თავის სიმაღლეზე, არადა... ეჰ, როგორ გაგვიქრა ხელიდან მაცოცხლებელი იმედიც!

გულნარა სტურუა

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის
განცხადება

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია თავის წესდების X თავის „საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის, საპატიო აკადემიკოსის, აკადემიის უცხოელი წევრისა და აკადემიის სტიპენდიატის არჩევნების წესი“ შესაბამისად აცხადებს კონკურსს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის (აკადემიკოსის) ასარჩევად სამეცნიერო განყოფილებების შემდეგ ვაკანტურ ადგილებზე:

1. აგროინჟინერიის სამეცნიერო განყოფილება – სპეციალობა 0415 „აგროინჟინერია“, სპეციალიზაცია 041503 „სასოფლო-სამეურნეო ჰიდრომელიორაცია“ – 1 ვაკანსია;

2. სატყეო საქმის სამეცნიერო განყოფილება – სპეციალობა 0105 „მეტყევეობა“, სპეციალიზაცია 010501 „სატყეო მეურნეობა“ – 1 ვაკანსია.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად (აკადემიკოსად) შეიძლება არჩეულ იქნეს საქართველოს მოქალაქე, მეცნიერებათა დოქტორის, დოქტორის აკადემიური ხარისხის ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის მქონე საქართველოში მოღვაწე მეცნიერი, რომელსაც მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი აგრარული მეცნიერების განვითარებაში, აქტიურ მონაწილეობას ღებულობს ქვეყნის აგრარული სექტორის მეცნიერულ უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ გამოყენებით და ფუნდამენტურ პრობლემათა დამუშავებაში, იღვწის მაღალკვალიფიციური სამეცნიერო კადრების მომზადებისთვის და მის შრომებს აქვთ მაღალი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსობის კანდიდატთა მიერ წარმოდგენილ უნდა იქნეს შემდეგი საბუთები (ორ ეგზემპლარად): სამეცნიერო ან აკადემიური საბჭოს, აკადემიის წევრის (წევრების) წარდგინება სათანადო დასაბუთებით, დამოწმებული წარმდგენის ხელმოწერითა და იმ დაწესებულების ბეჭდით, სადაც იგი მუშაობს, კანდიდატის ავტობიოგრაფია, ფოტო 4X6, სამეცნიერო ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი, მონაცემები შრომითი და სამეცნიერო საქმიანობის შესახებ (CV), ძირითადი სამეცნიერო შრომების ჩამონათვალი (საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები აღინიშნება ვარსკვლავით), დარგის სპეციალისტის მიერ კანდიდატის სამეცნიერო მოღვაწეობის შეფასება, კანდიდატის პირადობის მოწმობის ასლი, ცნობა სამუშაო ადგილიდან საქართველოში მისი მოღვაწეობის დასადასტურებლად.

აღნიშნული განცხადება ქვეყნდება პრესაში და განთავსდება საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვებ-გვერდზე www.gaas.dsl.ge.

საბუთები რეგისტრაციისა და არჩევნებში მონაწილეობისთვის იგზავნება საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში. განცხადებები მიიღება 2019 წლის 04 მარტიდან 22 მარტის ჩათვლით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, 0102, ი. ჯავახიშვილის ქ. №51, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია (ტელეფონები: 2 94-13-20, 2 94-13-21, 2 96-03-00). საბუთების მიღება იწარმოებს ყოველი სამუშაო დღის 11 საათიდან 17 საათამდე.

კანდიდატის მონაცემები (CV) განთავსდება საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვებ-გვერდზე, რისთვისაც წარმოდგენილ უნდა იქნეს CV-ის ელექტრონული ვერსიაც.

შენიშვნა: დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურ დეპარტამენტში.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია

◎ წინსვლა

უკვე მე-11!

ცნობილმა ამერიკულმა პორტალმა Bleacherreport ნბა-ს 2019 წლის წინასადრაფტო ცხრილი განაახლა, სადაც **გოგა ბითაძის** წინსვლა შთამბეჭდავია. თუკი აღნიშნული ვებ-გვერდის 20 დღის წინანდელ რეიტინგში 19 წლის ქართველ ცენტრს 27-ე ადგილი ეკავა, ახალ კლასიფიკაციაში ის უკვე მეთერთმეტეა (!).

აი, როგორ ხსნის Bleacherreport ბითაძის ამგვარ აღზევებას: **„სეზონის განმავლობაში თვალსაჩინო პროგრესი და კოლეჯების დონეზე გამორჩეული ახალგაზრდების ნაკლებობა ბითაძეს დრაფტის სათავეებისკენ მიაქანებს.**

19 წლის ცენტრმა თავდაპირველად ადრიატიკის ლიგაზე გაიბრწყინა, შემდეგ კი თავისი სიტყვა თქვა ევროლიგაშიც, სადაც საშუალოდ 13.1 ქულას, 6.6 მოხსნასა და 2.9 დაფარებას აგროვებს.

ბითაძე ქულების მანქანა არაა და არც შთამბეჭდავი ათლეტური მონაცემებით გამოირჩევა, თუმცა, კარგად იყენებს გრძელ ხელებს, სწრაფად გადაადგილდება და ფარის გარშემო ძალიან სარგებლიანია. იგი სროლის ხარისხსაც აუმჯობესებს და ის ფაქტი, რომ 39-დან 15 სამქულიანი აქვს ჩაგდებული, მის პერსონას კიდევ უფრო მიმზიდველს ხდის.

ბითაძე, შესაძლოა, უმაღლესი კლასის დამცველი ვერასდროს გახდეს, მაგრამ 20 წლამდე ასაკში შორს მიმავალი დასკვნების გამოტანა ნაადრევია. დღესდღეობით ის იმ კალათბურთელად უნდა მივიჩნიოთ, რომელსაც განვითარების ფართო არეალი აქვს“.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ფეხბურთი

საგაზაფხულო მილიონები

გუშინ სასტუმრო „ბილტმორში“ ეროვნული ლიგის ახალი სეზონის პრეზენტაცია გაიმართა და გაირკვა, რომ მას ახალი სპონსორი ჰყავს — „Crystalbet“-ის შეთანხმების საფუძველზე „კრისტალბეთი“ საქართველოს ჩემპიონატის არსებობის ისტორიაში ყველაზე ძლიერი მხარდამჭერი იქნება და ფეხბურთის ფედერაცია 2 მილიონ ლარს მიიღებს.

შედეგად, ეროვნულ ლიგას სახეცვლილი სახელწოდება ექნება - „კრისტალბეთ ეროვნული ლიგა“ და „კრისტალბეთ ეროვნული ლიგა 2“. გარდა ამისა, გულშემატკივრებს ახალი სეზონიდან სხვადასხვა სიახლეებიც ელოდებათ. „კრისტალბეთ ეროვნული ლიგის“ პოპულარიზაციისთვის რამდენიმე ახალი პროექტია დაგეგმილი: მატჩების ტრანსლაცია „კრისტალბეთ ეროვნული ლიგის“ ინტერნეტ-პლატფორმაზე ისევ გაგრძელდება, ტურის ცენტრალური შეხვედრა კი საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის ეთერშიც გადაიცემა.

გიორგი ზოთაძე

◎ ინტერნეტიდან

ოჰ, ეს ხუთი თითი

ესპანური მედია თავგამოდებით აკრიტიკებს ტურინის „იუვენტუსის“ პორტუგალიელ შემტევს კრიშტიანუ რონალდუს, **რომელმაც ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალური მატჩის დასასრულს მადრიდის „ატლეტიკოს“ ქომაგებს ხუთი თითის გამოყენებით მიანიშნა, რომ მას ჩემპიონთა ლიგა ხუთჯერ ჰქონდა მოგებული, „ატლეტიკოს“ კი — არც ერთხელ.**

„მე ხუთგზის გამარჯვებული ვარ, თქვენ — არავინ“ — დაახლოებით ამ სულისკვეთების ჟესტი, სხვა მრავალ ესპანელ მიმომხილველთან ერთად, ცნობილმა პირენეელმა შხვართმა ტელეწამყვანმა კრისტინა პედროჩემაც გაკიცხა, რომელსაც თავის დროზე კრიშტიანუსთან ერთად განიერ საწოლზე კოტრიალშიც კი ამხელდნენ. რონალდუმ ამ ოცობოდიაზე კომენტარის გაკეთება არ ისურვა.

როსტომ რაჭველიშვილი

◎ რაგბი ჩვენი თამაშია!

დღეს ბელგიაში

დღეს „ბორჯღალოსნები“ 2019 წლის რაგბი ევროპის ჩემპიონატის მესამე მატჩს ბრიუსელში ბელგიის ნაკრების წინააღმდეგ გამართავენ. შეხვედრა თბილისის დროით 19 საათზე დაიწყება. მილტონ ჰეიგმა გადაწყვიტა, რომ ბელგიასთან იმ გუნდმა ითამაშოს, რომელმაც ინგლისის ნაკრებთან ერთად ივარჯიშა.

ეს ვარჯიშები იაპონიის მსოფლიო თასისთვის, ასევე რაგბი ევროპის ჩემპიონატზე უახლოესი ბრძოლისთვის მზადებას ემსახურებოდა, სადაც ორი ტურის შემდეგ საქართველო 8 ქულით პირველ ადგილზეა. ბელგიასთან მატჩისთვის მწვრთნელებმა რამდენიმე გამოცდილ მორაგბეს უხმეს — ზურაბ ჟვანიას და შალვა სუთიაშვილს, ასევე ოთარ გიორგაძეს, რომელსაც დისკვალიფიკაციის ვადა გაუვიდა.

კობა კობახიძე

◎ ფარიკაობა

შენგელია მესამეა

ოთხი ქართველი მოხმალავე (მთავარი მწვრთნელი მერაბ ბაზაძე) მონაწილეობდა იტალიურ ფოჯაში გამართულ 20-წლამდელ მოფარიკავე ვაჟთა ევროპის ჩემპიონატში.



შესანიშნავად იასპარეზა 23-წლამდელებში კონტინენტის 2018 წლის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორმა **ნიკა შენგელიამ,** რომელმაც ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ჯგუფში მან ზედიზედ დაამარცხა მაგამედ ხალიბეკოვი (რუსეთი, 5:4), ნიკოლაუს ბენედიკტი (ავსტრია, 5:1), მაქსიმ პინჩუკი (ბელარუსი, 5:3), ბოჰდან ბოჰოვინი (უკრაინა, 5:3) და ერთადერთი პაექრობა ესპანელ დიეგო სანტამარიასთან დათმო ერთი ჩხვლეტით — 4:5. შენგელიამ პლეი-ოფშიც ოთხჯერ იმარჯვა: სძლია ბას ვინემარის (გერმანია) — 15:11, პიოტრ შტეფანეკს (პოლონეთი) — 15:11, სებასტიან პატრის (საფრანგეთი) — 15:12, ლორენცო რომას (იტალია) — 15:13, ნახევარფინალში კი ახალგაზრდების მსოფლიოს კლასიფიკაციით პირველ ნომერ მატეო ნერისთან (იტალია) დამარცხდა 7:15 და მესამე ადგილი დაიკავა. ნერიმ ფინალში ვლადისლავ პოზდნიაკოვსაც (რუსეთი) მოუგო. მეორე ბრინჯაოს მედალი ბულგარელ გალინ გენოვს ხვდა.

ლექსო ცინცაძე

◎ ჩოგბურთი

მეოთხედფინალში დამარცხდა



დუბაიში (არაბთა გაერთიანებული საამიროები) **გრძელდება ჩოგბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი (საპრიზო ფონდი 2 887 895 დოლარი), რომელშიც ორი წრე წარმატებით განვლო 27 წლის თბილისელმა ნიკოლოზ ბასილაშვილმა: ჯერ შეჯიბრებაზე მე-4 ნომრად განთესილ რუს კარენ ხაჩანოვს სძლია — 6:4, 6:1, შემდეგ ესპანელ რობერტო ბაუტისტა აგუტს აჯობა — 6:7, 6:4, 6:3, მეოთხედფინალში კი მსოფლიოს კლასიფიკაციაში მე-13 ადგილზე მყოფ ხორვატ ბორნა ჩორიჩს ვერ გაუმკლავდა — 6:4, 2:6, 6:7 წააგო.**

მარცხის მიუხედავად, ბასილაშვილისთვის დუბაის ტურნირი მაინც წარმატებული იყო, რადგან 1865 ქულა მოუგროვდა და ჯერჯერობით რეიტინგში მისთვის სარეკორდო მე-18 ადგილზე იმყოფება.

ლაშა დიდია

დედის ღვიძლით გადარჩენილი შვილის სიცოცხლე –

10-საათიანი ურთულესი ოპერაცია საქართველოში

ბათუმში, ზღვისპირა ქალაქში, რომელიც მზესთან და დასვენებასთან ასოცირდება, სადაც თითქოს მხოლოდ ბედნიერი ამბები უნდა ისმოდეს, ორი თვის წინ ახალგაზრდა ქალი შვილის გადასარჩენად იბრძოდა...

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ სამსახურიდან სახლში დაბრუნებული დედა შვილის სიყვითლემ შეაშინა. მერე იყო ექიმთან ვიზიტი, გამოკვლევები და თავზარდამცემი დიაგნოზი...

ხათუნა ცეცხლაძე: „დაახლოებით ორი თვის წინ სამსახურიდან სახლში დაბრუნებულს თამარი შეუძლოდ დამხვდა. ფერიც არ მომეწონა და მეორე დღესვე ექიმთან მივიყვანე. აღებული ანალიზი გერმანიაში გადააგზავნეს, ერთი კვირის შემდეგ პასუხი მოვიდა. როცა დიაგნოზის ფურცელი გადმომცეს, მითხრეს, აუტოიმუნური ჰეპატიტიაო. ვერ გავიგე, რას ნიშნავდა. მერე, რომ ამიხსნეს ჩემი შვილის დიაგნოზი, ადგილზე გავიყინე.

ღვიძლს ფუნქცია დაქვეითებული ჰქონდა და ყოველდღიურად მწვავდებოდა მდგომარეობა... ბავშვს თანდაყოლილი ჰეპატიტი აღმოაჩნდა. მე და ჩემმა მეუღლემ ინტერნეტში დავიწყეთ ამ დაავადების შესახებ ინფორმაციის მოძიება. რაც უფრო ბევრს ვიგებდით, მით უფრო გვიპყრობდა შიში. თამარი თბილისში, იაშვილის საავადმყოფოში, დავაწვინეთ. თუ არ ჩავთვლით უბრალო გაციებას, ამ 9 წლის განმავლობაში ბავშვს ჯანმრთელობის პრობლემა არ ჰქონია“, – იხსენებს თამარის დედა.

გადასხმებით აჩერებდნენ ღვიძლის თვითგანადგურების შეუქცევად პროცესს, მაგრამ დრო არ ითმენდა. რა არის გამოსავალი? – პატარა თამარის მშობლების დასმულ ამ შეკითხვას მედიკოსებმა კონსილიუმის შემდეგ უპასუხეს: „დონორის პოვნა და ღვიძლის გადანერგვა“.

ყოველი დღე გადამწყვეტი იყო, უფრო სწორად, ყოველი წამი. სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილ ოჯახს არც საკმარისი ფინანსური რესურსი ჰქონდა, რომ მსოფლიო მასშტაბით ღვიძლის დონორი მოეძებნათ და არც – დრო. მსოფლიო პრაქტიკის გამოცდილებით, პირველ რიგში, მშობლები მოსინჯეს დონორებად. დედის ანალიზები დადებითი აღმოჩნდა. მიუხედავად ამისა, მაინც არსებობდა რისკი, რომ თეორიულად დადასტურებული დონორის ღვიძლს ოპერაციის შემდეგ პაციენტის სხეული არ შეითვისებდა.

„ღვიძლის ტრანსპლანტაცია გარდაუვალი იყო. იმის გამო, რომ ყოველ წამს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა, ბათუმის რეფერალურ საავადმყოფოში, რეანიმობილით ჩავიყვანეთ ბავშვი. როცა საოპერაციოში შევდიოდი, მეუღლეს და ოჯახის წევრებს ვუთხარი, თუ საჭირო გახდა მთლიანი ღვიძლის გადანერგვა, არც დაფიქრდეთ, მაშინვე მიეცით თანხმობა ექიმებს, მზად ვარ, შვილის გადასარჩენად დავთმო სიცოცხლე-მეთქიო.

შოკურ მდგომარეობაში ვიყავი, თავში მხოლოდ ის მიტრიალებდა, როგორმე შვილი გადამერჩინა. საოპერაციოში რომ შემიყვანეს, მაშინ მოვედი გონზე... სამედიცინო იარაღები რომ დავინახე, გამოვერკვიე და მივხვდი, რა ურთულესი ოპერაცია ჰქონდა გადასატანი ჩემს გოგონას“ - გვიყვება ხათუნა ცეცხლაძე.

ქირურგ **კახა ქაშიბაძეს,** რომელსაც ბათუმის რეფერალურ ჰოსპიტალში მანამდე ღვიძლის რამდენიმე ტრანსპლანტაცია ჰქონდა გაკეთებული, იმ დღეს ასმაგად საპასუხისმგებლო ოპერაცია უნდა გაეკეთებინა. წინა შემთხვევებისგან განსხვავებით, 9 წლის პაციენტისთვის ღვიძლი საქართველოში პირველად უნდა გადაენერგა. ღელავდა ყველა, ქირურგის გარდა. პროფესიონალური ჩვევაა ემოციების გვერდზე გადადება და კონცენტრირება... იმ დღესაც ასე იყო.

ჯერ დონორს, 31 წლის დედას, ჩაუტარდა ოპერაცია და მერე მის შვილს, 9 წლის პაციენტს. ტრანსპლანტაციის პროცესი ზუსტად 10 საათს მიმდინარეობდა.

„არსებობდა იმის საშიშროებაც, რომ ანალიზით დადასტურებული დონორის ღვიძლი ოპერაციის შემდეგ არ გამომდგარიყო პაციენტისთვის. ღმერთის წყალობით და პროფესიონალი მედიკოსების დახმარებით ტრანპლანტაციამ წარმატებით ჩაიარა.

არ მახსოვს, მაგრამ ნარკოზიდან გამოსვლის შემდეგ პირველად ბავშვის მდგომარეობა მიკითხავს. სანამ ტელეფონით გადაღებული ვიდეო არ მაჩვენეს პალატაში მწოლიარე შვილის, მანამდე ვერ მოვისვენე. არ ვიცი როგორ და რა გზით, ან თუ ოდესმე შევძლებ კახა ქაშიბაძისა და მისი გუნდის მიმართ მადლიერების გამოხატვას! მათ ყველაფერი გააკეთეს ჩემი შვილის გადასარჩენად და სიცოცხლე ხელმეორედ აჩუქეს. 25 დეკემბერს მე და ჩემი შვილი, ორივე, მეორედ დავიბადეთ!

ბევრი რამე შეიცვალა ოპერაციის შემდეგ. დილა მედიკამენტების მიღებით იწყება და დაძინებამდე ასე გრძელდება. წამლების რაოდენობა დროთა განმავლობაში შემცირდება“, – ამბობს თამარის დედა.

წარმატებით დასრულებული ოპერაციის შემდეგ ახლა 9 წლის თამარი და მისი დონორი დედა პოსტოპერაციულ რეაბილიტაციას სახლში გადიან. კვირაში ერთხელ ანალიზებს აბარებენ და ახალ სხეულთან ადაპტაციის პროცესს აკვირდებიან. ყოველი ანალიზის პასუხი სულ უფრო დადებითია. გადანერგილი ღვიძლი ფუნქციას წარმატებით ასრულებს და თამარის სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება. ახლა დედა-შვილი თავს კარგად გრძნობს.

მძიმე დაავადებას თამარი სულ მალე უბრალო ისტორიად გაიხსენებს და ჩვეულებრივად გააგრძელებს ცხოვრებას, თანატოლებთან ბევრს ითამაშებს და როცა დიდი გოგო გაიზრდება, ეცოდინება, რომ ქართველმა ქირურგმა ყველაფერი გააკეთა, რათა ეცოცხლა, ჯანმრთელი და მებრძოლი ყოფილიყო. ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი!

◎ ონკოლოგია

იმუნიტეტის უშველავთო ომი



ოქტომბრის დასაწყისში შვედეთის დედაქალაქ სტოკჰოლმში, მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული ნობელის პრემია მედიცინასა და ფიზიოლოგიაში ამერიკელ **ჯეიმს ედისონსა** და იაპონელ **ტასუკუ ჰონძიოს** მიაკუთვნეს. ეს ჯილდო მეცნიერებმა **„უარყოფითი იმუნური რეგულაციის ინგიბირების გზით კიბოს თერაპიის აღმოჩენისთვის“** მიიღეს. ბუნებრივია, მკითხველს აინტერესებთ, თუ როგორი იქნება კიბოს მკურნალობა მათი აღმოჩენის შემდგომ.

ფიზიოლოგიასა და მედიცინაში ნობელის პრემიის წლევანდელი ლაურეატების დამსახურება ისაა, რომ მათ ის მექანიზმი გამოავლინეს, რომლის მეშვეობით ავთვისებიანი სიმსივნე „ემალება“ იმუნურ სისტემას, „ატყუებს“ მას და მასთან ბრძოლის ხერხი შეიმუშავეს, რომლის არსია, „თვალი აუხილონ“ და კიბოსთან ბრძოლა დააწყებინონ იმუნურ სისტემას.

იმუნოონკოლოგიის მსგავსი ეს სამედიცინო მიმართულება ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-იან წლებში წარმოიშვა და დღემდე კიბოს ზოგიერთი სახეობის მკურნალობის დროს გამოიყენება. მაგრამ, მხოლოდ ჩვენს დროში გახდა იმუნური პრეპარატების გამოყენება ონკოლოგიაში არათუ წამყვანი, არამედ ჭეშმარიტად რევოლუციური.

ბოლო დრომდე, ავთვისებიან სიმსივნეთა მედიკამენტოზური მკურნალობის ერთადერთ საშუალებად ქიმიო-თერაპია იყო მიჩნეული, რომელსაც პაციენტებიც საკმაოდ მძიმედ იტანენ და ბევრი თანამდევი ეფექტიც ახლავს. მაგრამ წლეულს ნობელის პრემიით აღნიშნულ მეცნიერთა აღმოჩენის წყალობით, კიბოს მკურნალობის ტრადიციულ ხერხს სავსებით რეალური და, ზოგიერთ შემთხვევაში, უფრო ეფექტიანი ალტერნატივა – **იმუნოთერაპია** გაჩნდა.

საქმე ისაა, რომ ავთვისებიან ახალ წარმონაქმნთა განვითარებაში იმუნიტეტი ძალზე მნიშვნელოვან როლს ასრულებს, სწორედ მისი არეული მუშაობა უწყობს ხელს ავთვისებიანი სიმსივნის უჯრედების უკონტროლო გამრავლებას. უწინ მეცნიერებმა არ იცოდნენ, თუ როგორ უნდა მოეხდინათ იმუნურ სისტემაზე ისეთი ზემოქმედება, რომელიც ბოლოს და ბოლოს, შეძლებდა სიმსივნის უჯრედის გამოცნობას და მისი განადგურება დაეწყო. მაგრამ ყველაფერი წლევანდელი ნობელიანტის **ჯეიმს ელისონის** აღმოჩენამ შეცვალა, რომელმაც დაადგინა, რომ ავთვისებიან სიმსივნეებს აგრესიულად და უკონტროლოდ განვითარებაში განსაკუთრებული მოლეკულები ეხმარება, რომლებსაც **იმუნური იმუნიტეტის საკონტროლო წერილები** ეწოდა. სწორედ ისინი არ იძლევიან იმუნურ სისტემებს კიბოს უჯრედის გამოცნობისა და მისი განადგურების დაწყების საშუალებას.

მეორე ნობელიანტმა იაპონელმა მეცნიერმა-იმუნოლოგმა **ტასუკუ ჰონძიომ** უდიდესი წვლილი შეიტანა ისეთი პრეპარატების დამუშავებაში, რომლებიც ბლოკავენ საკონტროლო წერტილებსა და იმუნურ სისტემას ხელახალი ჩატვირთვის საშუალებას აძლევენ. ამ წამლების გამოყენების შედეგად იმუნური სისტემის „ხელახლა ნასწავლ“ „მკვლელ უჯრედებს“ (T-ლიმფოციტებს) უკვე შეუძლიათ ავთვისებიანი უცხო უჯრედების გამოცნობა, მათზე შეტევის მიტანა და განადგურება. ამასთან, ისეთი თანამდევი ეფექტები, როგორც ქიმიოთერაპიის შემთხვევაში, არ წარმოიშვება.

დღესდღეობით უკვე არსებობს საკმაოდ ბევრი იმუნური, ასევე რამდენიმე სხვა სახეობის პრეპარატი, რომლებიც ფარმაცევტულ ბაზარზე გასატანად მზადდება. ეს კი კიბოიან ავადმყოფებს (სიმსივნის მე-4 სტადიაში მყოფებსაც კი!) იმის შანსს აძლევს, რომ უიმედო და უკურნებელი სენების კატეგორიიდან, დაავადება ქრონიკულთა კატეგორიაში გადავიდეს!

იმის მიუხედავად, რომ კიბოს საბოლოო დამარცხებამდე ჯერ კიდევ შორია, თანაც იმუნური პრეპარატები პანაცეა არ არის, რადგანაც ყველა ორგანიზმზე არ მიდის, ვინაიდან ბევრი რამ სიმსივნის მახასიათებლებზეა დამოკიდებული, კაცობრიობა მაინც ახალ მიღწევათა ზღურბლზეა, რომელთა წყალობით ავთვისებიან სიმსივნეთა განკურნებაში **იმუნოონკოლოგია** უახლოეს წლებში მთავარი მიმართულება იქნება.

მოამზადა
ოთარ ტურაბელიძემ

◎ წერილი რედაქციას

ცხოვრებისკენ მომაბრუნა

დიდი მადლობა მინდა გადავუხადო გორის სამედიცინო საზოგადოების ღირსეულ წევრს, ბატონ **დავით ღვინიაშვილს** ჩემდამი გაწეული დიდი დახმარებისთვის. ამ მარჯვენადალოცვილმა დასტაქარმა მენჯ-ბარძაყის ურთულესი ოპერაცია გამიკეთა და ცხოვრებისკენ მომაბრუნა. დარწმუნებული ვარ, ბატონ დავითის ყველა პაციენტი ისეთივე მადლიერია მისი, როგორიც მე.

გულნარა ზურაბაშვილი
ქ. გორი

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
კოსტავას ქ. №21.
599 79-76-79;
568 82-09-84



გემი, რომელსაც მთვრალი რუსი კაპიტანი მართავდა, ხიდს შეეჯახა

რუსული ხომალდი Seagrand-ი და მისი კაპიტანი ზიანის ანაზღაურებამდე შესაძლოა, დააპატიმრონ თუ დადასტურდა, რომ ის მთვრალი იყო, როდესაც გემი სამხრეთ კორეის ქალაქ პუსანში ხიდს დაეჯახა.

სამხრეთ კორეული მედიის ინფორმაციით, სატვირთო ხომალდი Seagrand-ი პუსანის პორტში ცხვირით ხიდს დაეჯახა. დაჯახების შედეგად დაზიანდა გემი, ხიდზე კი ხუთმეტრიანი ღრმული გაჩნდა. მომხდარის შედეგად დაშავებულები არ არიან. საგენტო „რენხაპის“ ინფორმაციით, ხომალდის კაპიტანი ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა.

სკრიპალებამდე 3 წლით ადრე...

რუსი სერგეი ფედოტოვი, რომელიც მესამე ეჭვმიტანილადაა მიჩნეული სკრიპალების მოწამვლის საქმეში, ვიდეოკამერებმა ბულგარეთის დედაქალაქში 2015 წელს, იმ სასტუმროსთან დააფიქსირეს, სადაც, მოწამლული ბულგარელი ბიზნესმენის ემილიან გებრიოვის ოფისი იყო. ამის შესახებ 24 chasa.bg წერს.

გავრცელებული ინფორმაციით, ფედოტოვი ბულგარეთში 2015 წლის აპრილში, ბიზნესმენის მოწამვლამდე რამდენიმე დღით ადრე ჩავიდა და იმ სასტუმროში ცხოვრობდა, სადაც ბიზნესმენის ოფისი იყო. ბიზნესმენის სისხლში ორი ორგანოფოსფატი აღმოაჩინეს, რაც „ნოვიჩოკის“ ტიპის ნერვო-პარალიტური ნივთიერებისგან მოწამვლის დამახასიათებელია.

Bellingat lf The Insider წერდნენ, რომ ფედოტოვის ნამდვილი სახელი დენის სერგეევია და ის დპს-ს მაღალი რანგის ოფიცერია. ჯერჯერობით დაუდგენელია, კონკრეტულად რა როლი ითამაშა მან სკრიპალების მოწამვლის საქმეში. რაც შეეხება ბიზნესმენ გებრიოვს, მას ბულგარეთში იარაღის საწარმო აქვს და ის იარაღს უკრაინასაც აწოდებდა. მოწამვლის გამო, ბიზნესმენი ერთი თვის განმავლობაში კომაში იყო, შემდეგ კი მდგომარეობიდან გამოვიდა.

ხელოვნური ინტელექტის მქონე საბრძოლო დრონი

კორპორაცია Boeing-ის ავსტრალიური ფილიალი ხელოვნური ინტელექტის მქონე საბრძოლო დრონის შექმნას გეგმავს, რომელსაც გამანადგურებელთან თანხვედრაში სხვადასხვა დავალების შესრულება შეეძლება. უპილოტო საფრენი საშუალება Loyal Wingman-ი პირველად რამდენიმე დღის წინ მელბრუნის აეროკოსმოსურ გამოფენაზე წარმოადგინეს.

კორპორაცია Boeing-მა განმარტა, რომ პროგრამული უზრუნველყოფა საფრენ აპარატს საშუალებას აძლევს, გადაადგილდეს დამოუკიდებლადაც და ასევე იფრინოს სხვა ხომალდთან თანხვედრაში. უპილოტო საფრენი საშუალების სიგრძე 11.6 მეტრი იქნება და მას 3,7 ათასი კმ-ს დაფარვა შეეძლება. სამომავლოდ, მისი მოდიფიცირებაც იგეგმება და ის დასაბომბ აპარატურადაც იქნება გამოყენებული.

გააცოცხლა და... დასცინეს

„აღდეგ და ვიდოდე“ ამ სახარებისეული შეძახილით „აღადგინა“ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკელმა პასტორმა ალფ ლუკაუმ მამაკაცი. ვიდეოში ჩანს, როგორ ჩაყვირის პასტორი კუბოში მამაკაცს შემდეგ შეაჯანჯღარებს და მამაკაციც „ცოცხლდება“.

„აღმდგარი“ მამაკაცის სამსახიობო ოსტატობამ ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა სოცქსელების მომხმარებლებზე რომ მათ ფლეშმობი #ResurrectionChallenge დაიწყეს და „აღდგომის“ სხვადასხვა ვარიანტები მოიფიქრეს.

2018 წლის საუკეთესო სმარტფონი

საერთაშორისო გამოფენის Mobile World Congress 2019-ის ექსპერტებმა სმარტფონი Huawei Mate 20 Pro 2018 წლის საუკეთესო მოდელად დაასახელეს.

ჟიურიმ, რომლის შემადგენლობაშიც ავტორიტეტული გამომცემლობის ჟურნალისტები, კავშირგაბმულობის ოპერატორების წარმომადგენლები და სპეციალისტები შედიოდნენ, ერთხმად აღნიშნა სმარტფონის მობილური ფოტოების მაღალი ხარისხი. აღსანიშნავია, რომ 2017 წელს საუკეთესო სმარტფონად iPhone X დასახელდა.

ყველაზე „წარუმატებელი“ სისხლის ჯგუფი



იაპონელმა სპეციალისტებმა 900 ადამიანის სამედიცონო ისტორიის შესწავლის შედეგად ყველაზე „წარუმატებელი“ სისხლის ჯგუფი გამოავლინეს. იაპონელი მეცნიერების მოსაზრებით, ადამიანები პირველი ჯგუფის სისხლით უფრო მეტად მიდრეკილები არიან სხვადასხვა დაავადების მიმართ, ამის გარდა ამ ჯგუფის ხალხს სისხლის შედედებაც გართულებული აქვთ.

კვლევის შედეგებით გაირკვა, რომ მძიმე ტრავმების შედეგად პირველი ჯგუფის სისხლის მქონე ადამიანებში სიკვდილიანობა 28%-ია მაშინ როდესაც სხვა ჯგუფებში ეს მაჩვენებელი საშუალოდ 11%-ია, ეს ნაწილობრივ იმით აიხსნება რომ ამ ჯგუფის მატარებლებისთვის სისხლდენა უფრო სახიფათოდ მიმდინარეობს. თუმცა, პირველი ჯგუფის სისხლის მქონე ადამიანები სხვებზე იშვიათად ავადდებიან გულ-სისხლძარღვთა დაავადებებით, ასევე ამ ადამიანებში გამოვლენილია ყველაზე დაბალი ქოლესტერინის დონე.

წარმატებულ ბიზნესმენებო, გონიერო ქველმოქმედნო, მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით!

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 100 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. №21

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქოგულია
299-02-10
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, წაიკითხე, ისიამოვნე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.6794; ევრო - 3.0556;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.5633
100 რუბლი - 4.0700; თურქული ლირა - 0.5084;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5763;
1000 სომხური დრამი - 5.4682.

ამინდი 2 მარტისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-3,	დღე	+11
მთიანი რაიონები -	ღამე	-7,	დღე	+5
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	0,	დღე	+10
მთიანი რაიონები -	ღამე	-2,	დღე	+5
თბილისი:	ღამე	+2,	დღე	+9

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 299-02-10,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge